ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 121 (2235) შაბათი, 22 ივნისი, 1996 წელი. ფასი 45, თბილისის გარეთ 50 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირი

ვაზო, შვილივით ნაზარდო!..

საქართველოს მეღვინეობა-მევენახეობის დარგების აღორძინება გადამწყვეტ სიტყვას იტყვის სახელმწიფოს ეკონომიკის აღმავლობაში

ვაზი ტრადიციულად საქართველოსათვის ერისა და ქვეყნის ფიზიკური სიძლიერისა და სულიერი სიმტკიცის სიმბოლო იყო და ასეთად დარჩა. ქვეყანაში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ვითარებამ მევენახეობასა და მეღვინეობას არაერთი პრობლემა შეუქმნა. იმ პირობებში, როდესაც ქვეყანა თანდათანობით საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადადის და მიმდინარეობს დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობითი პროცესები, საჭიროა მეტი გულისხმიერება გამოვიჩინოთ საქართველოს ამ ტრადიციული დარგების აღორძინებისათვის.

სწორედ ამ პრობლემათა განხილვას მიეძღვნა 21 ივნისს გამართული მევენახეთა და მეღვინეთა რესპუბლიკური თათბირი, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ნიკოლოზ ლეკიშვილი, მთავრობის, პარლამენტის, მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და სამხარეო ადმინისტრაციათა წარმომადგენლები, აგროფირმების, ღვინის ქარხნების, სხვადასხვა საწარმოთა და უწყებათა ხელმძღვანელები. ფინანსისტები, ბანკირები, უცხოელი სტუმრები.

მევენახეობა-მეღვინეობის დარგებში არსებულ ვითარებასა და „რთველი-96"-ის ორგანიზებულად წარმართვისათვის ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ.

თათბირის მონაწილეებმა იმსჯელეს დარგში არსებულ სიძნელეებზე და მათი დაძლევის გზებზე. კერძოდ, გადასახადების მოწესრიგებაზე, გასაღების ბაზარზე, ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოებასთან ბრძოლის მიმართულებებზე, ადგილობრივ მწარმოებელთა სტიმულირებაზე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. მისი მითითებით უახლოეს დღეებში შეიქმნება დარგებში არსებულ პრობლემათა გადაჭრის სახელმწიფო კომისია დარგობრივ სამინისტროთა, შესაბამის სპეციალისტთა, ფინანსისტთა და მეცნიერთა მონაწილეობით, რომელიც პრაქტიკულად, ოპერატიულად მოაგვარებს არსებულ პრობლემებს.

თათბირის ვრცელი ანგარიში გამოქვეყნდება.

საქინფორმი.

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

1996 წლის 21 ივნისი ქ. თბილისი

რ. ამაშუკელის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მოქალაქეობრივი ღვაწლისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე, პოეტი რევაზ ამაშუკელი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საავტომობილო გზების აღდგენა—განვითარება პრიორიტეტული მიმართულებაა

21 ივნისს გაიმართა საქართველოს საავტომობილო გზების აღდგენა-განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამუშავების, დაფინანსების წყაროების განსაზღვრისა და ამ საქმეში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სამთავრობო კომისიის პირველი სხდომა. სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი ნიკოლოზ ლეკიშვილი.

სამწუხაროდ, სადღეისოდ საავტომობილო გზების მდგომარეობა მკვეთრად არის გაუარესებული და მათი ამჟამინდელი ტექნიკური პარამეტრები მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებენ მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებს. ამიტომაც, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. მით უმეტეს ისეთ დროს, როდესაც ნათლად იკვეთება ჩვენი ქვეყნის სულ უფრო მზარდი როლი ევროპა-აზიის დერეფანში.

თათბირზე, რომელიც პრაქტიკულად საორგანიზაციო ხასიათისა იყო, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 14 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად, სამთავრობო კომისიაში შექმნილ ქვეკომისიას დაევალა ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს სამთავრობო კომისიის პროგრამის პროექტი ყველა მნიშვნელოვან მომენტთა გათვალისწინებით.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

მიღება

შეხვედრა საქართველოს პარლამენტში

21 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის ევროპის ბიუროს ხელმძღვანელი ბატონი ქრისტიან აიგლი და მისი კონსულტანტი-მრჩეველი ვიქტორ კურენკოვი.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი ზურაბ ჭანკოტაძე. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის ევროპის ბიუროს ხელმძღვანელმა ქრისტიან აიგლმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს გააცნო საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის მიზნები და მის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. აღინიშნა, რომ ორგანიზაცია დიდად არის დაინტერესებული საქართველოსთან და ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან თანამშრომლობის განვითარებით, მჭიდრო კონტაქტებით საჰაერო სივრცის რეგიონალური უსაფრთხოების, საჰაერო ხაზებისა და საბაჟო სამსახურის კონტროლის სფეროში.

— მეტად სასიამოვნოა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის უშუალო მონაწილეობით თბილისში გაიხსნა საერთაშორისო დონის აეროპორტი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კონტაქტებს გარე სამყაროსთან — განაცხადა ბატონმა ქრისტიან აიგლმა.

როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სტუმრებთან საუბრისას აღნიშნა, საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოში სამოქალაქო ავიაციის განვითარებას, რისთვისაც საჭიროა ჩამოყალიბდეს მყარი საკანონმდებლო ბაზა, შემუშავდეს სამოქალაქო ავიაციის კოდექსი.

მან ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტს, აღნიშნა, რომ კონტაქტები მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება.

პარლამენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

აშენებს სრულიად საქართველო

წმიდა სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



ღვთის სადიდებლად და ჩვენი ხალხის რწმენის ასაღორძინებლად თბილისში წმიდა სამების საკათედრო ტაძარი შენდება. ვისაც აქვს სურვილი და საშუალება მონაწილეობა მიიღოს ამ საშვილიშვილო საქმეში, ვაცნობებთ საბანკო რეკვიზიტებს:

ეროვნული ვალუტის ანგარიში

მიმღები: საქართველოს საპატრიარქო ბანკი „საეკლესიო ბანკი"
მიმღების: ბანკი „საქართველოს ეროვნული ბანკი"
ანგარიშის ნომერი: 800161756, მფო 526636
დანიშნულება: წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში

სავალუტო ანგარიში

მიმღები (ბენეფიციარი): საქართველოს საპატრიარქოს ბანკი „საეკლესიო ბანკი"
მიმღების (ბენეფიციარის) ბანკი „საქართველოს ეროვნული ბანკი"
ანგარიშის ნომერი: 800073556
დანიშნულება: წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში

დამატებითი ინფორმაციისათვის — ტელეფონი: 934599, 987471.
მისამართი: თბილისი. მეფე ერეკლე მეორეს მოედანი №1, საქართველოს საპატრიარქოს შენობა, 1 სართული, „საეკლესიო ბანკი"

წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდი

შემოწირულობანი გრძელდება

გაგაცნობთ მათ, ვინც ამ საერთო საქმეში უკვე შეიტანა წვლილი:

1. ნატროშვილი ნელი ილიას ასული გურჯაანი	— ოქროს გულსაბამი;
2. ყულიჯანაშვილი დავით ივანეს ძე ყვარელი	— 200 ლარი;
3. წიაღისა და სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზირებისა და დაცვის სამმართველო	— 150 ლარი;
4. რ/გ „სამტრესტი"	— 200 ლარი;
5. ს/ს „ქიმპოლიმერი"	— 200 ლარი;
6. შერვაშიძე ლევანი ნესტორის ძე თბილისი	— 1 ვაუჩერი;
7. ნიქაბაძე თინათინ ალექსანდრეს ას. თბილისი	— 1 ვაუჩერი;
8. გარემო დაცვის ქვ/ქ. რ/კომიტეტი	— 50 ლარი;
9. სააქციო საზოგადოება „ელისავაკო"	— 500 ლარი;
10. ყიფია ნათელა ნიკოლოზის ასული ზუგდიდი	— 40 ლარი;
11. საქართველოს საპარტნიორო ხობის სატყეო მეურნეობა	— 50 ლარი;
12. პატარიძე-ინასარიძე თინა და ინასარიძე კარლო გერმანია	— 6 000 დოლარი.

განსაკუთრებული მადლიერებით მოვიხსენიოთ ეროვნული ბანკი, რომელმაც გადარიცხა 5000 ლარი.

ტაძრის მშენებლობის ფონდი.

აკრძალული ზონა

უნდა კი ციხეს რკინის კარები?..

უნდა, ნამდვილად უნდა!



დღევანდელ პირობებში მით უმეტეს. აბა, ჩვენ „ბულბულებს" მარტო გალია დააკავებს?!

ციხეს რად უნდა რკინის კარები, მას უნდა ჰქონდეს მუშაბანდებიო. მეოცე საუკუნის დასაწყისის რევოლუციური აღმავლობის პერიოდის ფოლკლორის ამ ნიმუშში მთელი კონცეფცია არის ჩადებული — მარტივი, როგორც ორჯერ ორი და ყველა დროში ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად ვარგისი.

რატომ?

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ციხეში თუ მის გარშემო ყოველთვის ხელისუფლებითა და მისი სამართლით უკმაყოფილო კონტინგენტია თავმოყრილი: დამნაშავე, რომელიც არასოდეს, არც ერთ ეპოქაში თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს და მისი ჭირისუფლები, რომლებიც მის შეხედულებას აბსოლუტურად იზიარებენ.

ესე იგი, არის უკმაყოფილო კონტინგენტი, რომლის ნიადაგშიც კარგად ღვივდება ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადებული ნებისმიერი თესლი.

რა თქმა უნდა, არიან მათ შორის უსამართლოდ დაჩაგრულებიც, რაც უკმაყოფილოთა პოზიციას აძლიერებს.

ეს მომენტი კარგად გამოიყენეს ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში ხელისუფლების სათავეებისაკენ დაძრულმა პოლიტიკურმა ძალებმა და ყველა ქართველი პატიმრის სამშობლოში გადმოყვანის ლოზუნგით გამოვიდნენ. სხვანაირად ეს ნიშნავდა — ხელისუფლება იმდენად ანტიეროვნულია, რომ საკუთარი ერის შვილებს (დამნაშავეებს, ბანდიტებსა და რეციდივისტებს, მაგრამ მაინც ქართველებს) სხვა ქვეყნის ციხეებში ალპობსო.

რა თქმა უნდა, ასეთ პოზიციას გარკვეულ კონტინგენტში მხარდამჭერნი არ მოჰკლებია.

იმ პირველ ტალღაზე მოსული ხელისუფლება, მოგეხსენებათ, აღარ არის. მაგრამ დარჩა სურვილი ქვეყნის მართვის სადავეების დაბრუნებისა, და კვლავ გაითამაშეს „ციხის კარტი": ნახეთ, რა უბედურება ტრიალებსო.

ჩვენი ციხეები, კოლონიები დასასვენებელი სახლები რომ არ არის, ფაქტია. ისიც უდავოდ მართალია, რომ ცივილიზებული ქვეყნების საპყრობილეების დონემდე მიახლოება, ჯერჯერობით, ოცნების ცისფერი ფრინველივით მოუხელთებელია.

მაგრამ...

მაგრამ მართლა ისეთი ჯოჯოხეთია, როგორც აღწერენ — სიამოვნებითა და ხელების ფშვნეტით?

ვნახოთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელთა აღსრულების მთავარი სამმართველოს რესპუბლიკური საავადმყოფო კრწანისშია, სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზეა გაშლილი მისი კორპუსები.

დღეს აქ 300-ზე მეტი ავადმყოფი მკურნალობს.

ადგილმდებარეობა იმდენად კარგია, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ბევრმა მოინდომა ამ შენობა-ნაგებობების ხელში ჩაგდება. რა თქმა უნდა, არა — პატიმართა პირობების გასაუმჯობესებლად.

[illegible]

(დასასრული მე-2 გვ.)

სტიქია

თქვენთან ვართ, არაგველებო!

[illegible]

ნიკო ლეკიშვილი, სახელმწიფო მინისტრი: [illegible]

[illegible]

ხვთისო არჩემაშვილი, [illegible]

ბაზარი

ვივაჭროთ იქ, სადაც [illegible]

[illegible]

---

22 ივნისს ომი დაიწყო

მორიგე რედაქტორი:

თქვენ უეჭველად გაიმარჯვებთ!

დღეს 22 ივნისია. [illegible]



1942 წელს ფაშისტ-აგრესორის 10 [illegible] საქართველოს [illegible]

იხ. მე-5 გვ.

ყურადღება!

საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 15 მაისის № 23-11-ს [illegible] ტელ: 93-13-06; 99-82-33.

[illegible] კომისია.

ბრიფინგი

რუსეთში მიმდინარე პროცესები რუსეთის საშინაო საქმეებია

— საქართველოს ხელისუფლებას არც უფლება აქვს და არც რაიმე საფუძველი შეიტანოს ეჭვი რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებათა მართებულობაში, ვინაიდან ეს რუსეთის შინაო საქმეა და, აქედან გამომდინარე, ამ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების პრეროგატივაა, — ასე უპასუხა საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ აბაშიძემ 20 ივნისს გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტის კითხვას, თუ როგორ აფასებს საქართველოს ხელისუფლება რუსეთის უმაღლეს ეშელონებში მიმდინარე მოვლენებს. მათ შორის — საკადრო ცვლილებებს.

შეკითხვას, უბრალოდ დამთხვევა იყო ეს, თუ ნავარაუდო რაიმე კავშირის არსებობა საქართველოს ორი მაღალი თანამდებობის პირის — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვარდიკო ნადიბაიძის მოსკოვში ერთდროულად ყოფნასა და გენერალ ლებედის სენსაციურ განცხადებას შორის, ვახტანგ აბაშიძემ უპასუხა: თავდაცვის მინისტრი რუსეთის დედაქალაქში მივლინებით იმყოფებოდა და ჰქონდა მოლაპარაკება ორი ქვეყნის სამხედრო უწყებათა თანამშრომლობის კონკრეტულ საკითხებზე, რაც შეეხება ბატონ ასლან აბაშიძეს, მისი მოსკოვში ყოფნის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნია, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ დამოუკიდებელ გაზეთში გამოქვეყნებულ მასალებს.

რაც შეეხება ბრიფინგის მთავარ თემას, იგი 19 ივნისს გამართული საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომის შედეგებსა და მასზე განხილულ საკითხებს მიეძღვნა.

კვირიდან კვირამდე

მუჟიკი მუჟიკს გაუგებს...

თითქმის ერთმა კვირამ გაიარა და ზარე ორი კიდევ გაივლის, სანამ რუსეთში „ლებედ, რაკ და შჩუკას" (გედის, კიბოს და ქარიყლაპიას) დრამა ფინალური საპრეზიდენტო ტაქტით დამთავრდება.

რაკილა პირველმა ტურმა სასურველი 50%+1 ვერ მოუტანა (თუ გულახდილად ვიტყვით, — არც ელოდა!), ბორის ელცინმა სავსებით სწორი გადაწყვეტილება მიიღო, თავისი მომავალი სასწორზე არ შეაგდო და ზემორე მოხსენებული ხამების ერთი წევრი — „გედი" (გვარის გამო ვაგდებ, თორემ შალიაპინის ბანის მქონე, ტიპური ჯარისკაცი ალექსანდრე ლებედი რა გედიც არის, ვიცით) დააქამანდა: რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნობა და ეროვნული უშიშროების საკითხებში თანაშემწეობა შესთავაზა, დაითანხმა კიდეც და თავისი პოტენციური ხმებისთვის ლებედის მიერ პირველ ტურში მოგროვილი ხმების (14,7 პროცენტი) მოსალოდნელი შემატება დაიგულა.

მართალია, კომუნისტი გენადი ზიუგანოვი იხტიბარს არ იტეხს, ლებედის „გადაფრენა" ბუზსაც ვერ ამიფრენს, მაინც გავიმარჯვებო, მაგრამ — სავარაუდოა, რომ მეორე ტურში მომძლავრებული „შჩუკა" (ქარიყლაპია) გადაყლაპავს „რაკს" (კიბოს) — ზიუგანოვს.

გენერალმა ლებედმა უკვე (20 ივნისს გამართულ პრეს-კონფერენციაზე) გააკეთა კიდეც შეპირებულ-შეთანხმებული განცხადება: თავის ამომრჩევლებს მოუწოდა, ხმა ბორის ნიკოლაევიჩს მიეცითო.

საინტერესო წიაღსვლა: როცა ჰკითხეს, ელცინთან თანამშრომლობა რამ გადაგაწყვეტინაო, არჩევნების პირველ ტურში მესამე ადგილზე გასულმა კანდიდატმა ჩვეული პირდაპირობით მოჭრა, ელცინი მუჟიკია (კაცია), მეც მუჟიკი ვარ, შევეწყობით ერთმანეთსო.

მუჟიკების ეს შეწყობა უკვე შედგა და საკმაოდ ეფექტურადაც: რუსეთის ზედა ეშელონებში „თავების ცვენა" დაიწყო. „ოპრიჩნინის" პირველი მსხვერპლი, როგორც მოსალოდნელი იყო, თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი აღმოჩნდა.

ა. ლებედმა, როგორც იტყვიან, სავარძლის მორგება ვერ მოასწრო, რომ სენსაციური განცხადებით გააოგნა რუსეთი და მთელი მსოფლიო, გრაჩოვის კაბინეტში გენერლების შეთქმულება მზადდებოდა არმიის ფეხზე დაყენებისა და ელცინზე ზემოქმედების მოსახდენადო.

გენერლები მას შემდეგ შეთქმულან, როცა ელცინს, გრაჩოვი მოხსნის ფაქტის წინაშე დაუყენებია.

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ სიჭაბუკის მეგობრები კუბოს ფიცრამდე მეგობრებად არ რჩებიან.

გენერალური შტაბის აკადემიაში თანაკურსელები პავლე გრაჩოვი და ალექსანდრე ლებედი კარგა ხანია დანასისხლად არიან, მას შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრად ალზევებულმა „პაშკამ" მე-14 არმიის სარდლობიდან გაათავისუფლა „საშკა".

გრაჩოვმა მოვლენათა შემდგომ მსვლელობას აღარ დაუცადა და მოხსნას — საკუთარი პატაკით გაასწრო.

აკმარებს თუ არა მას მხოლოდ წასვლას უშიშროების საბჭოს ახალი მდივანი, ამას დრო გვიჩვენებს.

ყოველ შემთხვევაში, განცხადებული შეთქმულების ამბავი გასარკვევ-გამოსაძიებელია (თუნდაც იმის გამო, რომ, როცა ლებედი შეთქმულების არსებობას ადასტურებს, პრემიერ-მინისტრი ვ. ჩერნომირდინი მხრებს იჩეჩავს, ამის შესახებ არაფერი მსმენიაო).

გრაჩოვის ამბავი ჩვენში, ალბათ, ამდენ შითქმა-მოთქმას არ გამოიწვევდა, ერთი გარემოება რომ არა:

ა. ლებედმა თავის სენსაციურ განცხადებაში, „გკჩპ-3" მზადების ერთ-ერთ მონაწილედ საქართველოს თავდაცვის მინისტრი გენერალი ვარდიკო ნადიბაიძე დაასახელა, თანაც რატომღაც „ჩტო ოჩენ მილოო" („განსაკუთრებით საამოაო"), დააყოლა.

რატომ არის „ოჩენ მილო" საქართველოს თავდაცვის მინისტრის მონაწილეობა რუსეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში (მართლა იყო თუ არა ეს შეთქმულება, ამას მნიშვნელობა არა აქვს), ძნელი გასასიგრძეგანებელია, მაგრამ ის კი უტყუარია, რომ გენერალი ვარდიკო ნადიბაიძე დიდი ფათერაკიანი კაცია: ძალიან ხშირად უწევს თავის მართლება.

ამჯერადაც მოუწია.

მართალია, მისი განმარტება საკმაოდ დამაჯერებელია, მაგრამ თვით ფაქტი მის მიმართ ერთობ კატეგორიულად გამოთქმული ბრალდებისა, ძალზე შემაშფოთებელი და გამაღიზიანებელია არა მარტო ბატონ ვარდიკოსთვის, არამედ რესპუბლიკის ყველა მოქალაქისთვის, ვინც ბატონ ვარდიკოში მხოლოდ ბატონ ვარდიკოს — კერძო პირს კი არ ხედავს, რომელიც მართალია რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის ნათლიაა, მაგრამ ამავე დროს საქართველოს თავდაცვის მინისტრია.

ისე, ახლაღა ვხვდები, რატომ ნიშნავს ბევრი ქვეყანა სამხედრო უწყების ხელმძღვანელად სამოქალაქო პირს (ქალსაც კი) — პოლიტიკოსს და არა სამხედროს. მამაც მხედრებს, ხანდახან, ცოტა არ იყოს, აკლიათ ხოლმე დიპლომატიური მოქნილობა და პოლიტიკური კონიუნქტურის ნიუანსებში დროული გარკვევა უჭირთ.

მაგრამ, სანამ რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს ახალი მდივანი მოინათლებოდეს, მანამდე კიდევ არაერთი საკადრო ცვლილება მოხდება მოსკოვში. ლებედის მძიმე ხელი უკვე მისწვდა ბორის ელცინის უშიშროების სამსახურის უფროსს ალექსანდრე კორჟაკოვს, ქვეყნის პირველ ვიცე-პრემიერს ოლეგ სოსკოვეცს და უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელს მიხეილ ბარსუკოვს...

ამასობაში საქართველოს თავის საკადრო გადასახედიდან ელის საკმაოდ უსიამოვნო მანევრი.

გადადგომას ითხოვს კონტროლის პალატის თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი.

ამის თაობაზე გასულ კვირას გაკეთებული მისი განცხადება მომავალი კვირის მთავარი საკითხი იქნება — სამშაბათს უნდა იმსჯელოს პარლამენტმა.

რეზო შავიშვილი უმაღლესი ეშელონების მოხელეთა იმ მცირე ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც ეროვნული მოძრაობის წიაღიდან არიან, მოსული. იგი, „არაკონტროლისპალატისშესაბამისი" განათლებისა და შრომითი გამოცდილების მიუხედავად, კარგა ხანს შემორჩა კონტროლის პალატას და თუმცა ამ ათადან ბაბადან გემრიელ (პურისსაჭმელ) ადგილზე ცდუნება ათადან ბაბადანვე ძალზე დიდია, არ გალანძღულა.

ზემოთ „არაკონტროლისპალატისშესაბამისი" განათლება მხოლოდ სიტყვის მასალად არ მიხმარია.

ეს მოტივი თვითონ რ. შავიშვილმა დაასახელა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად, გადადგომის თხოვნის მოტივად.

ფიზიკოსობას მისთვის აქამდე არ შეუშლია ხელი, და ახლა, როცა მუშაობის საკმაო გამოცდილებაც დააგროვა, ეს არგუმენტი ერთობ არასერიოზული ჩანს.

ჯანმრთელობა, როგორც ამბობენ, ცოტა მართლაც შეერყა, მაგრამ ჯვარი სწერია და გადადებული ავადმყოფისა არაფერი უგავს.

ამრიგად, მიზეზი არც ეს უნდა იყოს.

ნამდვილი მიზეზი სხვაგან არის საძიებელი.

ეს თქვა კიდეც — „არის კიდევ სხვა მიზეზებიო".

ერთი რამ ფაქტია:

მისი ეს გადაწყვეტილება, არ არის კეკლუცობა, როცა ერთი ხელით განცხადებას წერენ და მეორე ხელით ვალიდოლს იდებენ პირში, ვაი თუ ეს განცხადება მართლა მიიღონო.

არც მოვლენებისათვის დასწრება და გასწრება (პ. გრაჩოვის მაგალითისამებრ).

ყველაზე უტყუარი „სხვა მიზეზებში", ალბათ, ის არის, რასაც დაბეჯითებით ამბობს ხალხი, — კონტროლის პალატის თავმჯდომარე დაიღალა. კორუფციასთან ამაო, უშედეგო ბრძოლით და როგორც პატიოსან კაცს, წასვლის გარდა, სხვა გზა არ დარჩა.

ერთი სიტყვით, პარლამენტს სამშაბათს მოუწევს არა მხოლოდ იმაზე მსჯელობა, დააკმაყოფილოს თუ არ დააკმაყოფილოს რ. შავიშვილის განცხადება, არამედ, — გაერკვეს იმ „სხვა მიზეზებში", ანუ იმ ჭეშმარიტ მიზეზში, რამაც მას გადადგომა ათხოვნინა.

ამდენად, სამშაბათი „საკადრო სამშაბათად" კი არა, „პოლიტიკურ სამშაბათად" შეიძლება იქცეს.

ამ კვირაში თბილისში ორი გახმაურებული სასამართლო პროცესი დამთავრდა — ბ. ზარანდიას ჯგუფისა და თ. ჟორჟოლიანისა. ბ. ზარანდიას სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა, თ. ჟორჟოლიანს — 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მაგრამ სასამართლო დარბაზი როდი ცარიელდება: იწყება კახეთის მხედრიონელთა ერთი ჯგუფის (მათ შორის ცნობილი „მაჭახელას") პროცესი.

დაბოლოს — ერთ-ერთი ყველაზე არსებითი:

პურის გაძვირებას დამშეული ხალხის ქუჩაში გამოსვლა არ მოჰყოლია.

ეს ღონისძიება საკმაოდ გონივრულად და ორგანიზებულად წარიმართა, ისე რომ, ხელისუფლების დაპირებას, მაშინ ხალხმა საქილიკოდ რომ გაიხადა, ფასების აშვებას შეიძლება ფასების შემცირებაც კი მოჰყვესო, ჯერჯერობით (ჯერჯერობით!) რაღაც რეალური საფუძველი აქვს.

რასაც ვერ ვიტყვით ბენზინზე, სადაც ფასწარმოქმნა ჯუნგლის კანონებით, ყოვლად ველურად ხდება და ყურსაც არავინ იბერტყავს.

ალეკო ასლანიშვილი.

რუსეთის პრესის სარკეში

ლებედს ნუ [illegible]
დსთ-ში 8 მილიონი უმუშევარია
საერთო ბაზარი ისლამურად

რუსეთის მრავალრიცხოვანი სოციოლოგიური სამსახურების წინასწარმეტყველები, თავიანთ პროგნოზებს რომ აქვეყნებდნენ გაზეთებში, მართალი გამოდგნენ ერთ რამეში, რასაც გულთმისნობა არც სჭირდებოდა: შედგება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური. მაგრამ მკვლევარებს თვალთახედვიდან გამოეპარათ ისეთი დიდი ფიგურა, როგორიც ლებედია. ახლა გამარჯვება იმას გაუღიმებს, ვისაც გენერალი თავისი ელექტორატის ხმებს დაუთმობს. როგორც ახლა ცნობილია, ვაჭრობა, რომლის დროსაც, ყოველთვის მოთხოვნა განაპირობებს მოწოდებას, დიდხანს არ გაგრძელებულა. ელცინმა მოასწრო ლებედის ელექტორატისათვის გადაეხადა საკმაოდ გვარიანი ფასი რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტი.

საინტერესოა, რომ ამასთან დაკავშირებით, რუსეთის, როგორც მთავრობის მომხრე, ისე დამოუკიდებელმა და ოპოზიციურმა გაზეთებმა დაუფარავი სიამოვნებით გადაიხადეს გრაჩოვის პანაშვიდი.

„იზვესტია" მკითხველთა ყურადღებას მიაპყრობს ჰენრი კისინჯერის აზრს, რომელიც რუსეთის საგარეო პოლიტიკის შეფასებისას თვლის, რომ, როგორც უნდა დამთავრდეს არჩევნები, „საჭირო გახდება ახლებური მიდგომა რუსეთისადმი, რამდენადაც ელცინის ხელმძღვანელობით რუსეთი სულ უფრო აძლიერებს ჯიუტ საგარეო პოლიტიკას, რომელიც უკვე უპირისპირდება ამერიკის წარმოდგენას მსოფლიო წესრიგის შესახებ". კისინჯერის აზრით (რომელსაც ძირითადად კონსერვატორები იზიარებენ), რუსეთის საგარეო მოქმედება წარმოადგენს „უდიდეს გამოწვევას საერთაშორისო სტაბილურობისადმი". ამასთან დაკავშირებით კისინჯერი რეკომენდაციას აძლევს თეთრ სახლს „მისი პოლიტიკური და სტრატეგიული წონის შესაბამისი" ყურადღება დაუთმოს უკრაინას, აგრეთვე დაუპირისპირდეს „რუსეთის შუასაუკუნეობრივ იმპერიალიზმს კავკასიაში". საჭიროა — აზუსტებს კისინჯერი, — „აშკარად დავანახოთ კრემლს, რომ რუსეთის სტრატეგიული უზენაესობა მეზობლებზე შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ აშშ-სთან და დასავლეთთან ურთიერთობაში მუდმივი დაძაბულობის ფასად".



საერთაშორისო გამოცდილებაზე ორიენტირებული „რუსეთის ეროვნული კონცეფციის" მიღებასთან დაკავშირებით **„მოსკოვსკიე ნოვოსტიმ"** გამოაქვეყნა პუბლიკაცია, ჩვენთვის აქტუალური ერის **თვითგამორკვევის** შესახებ, რომელმაც სპეციალისტთა ფართო კომენტარები გამოიწვია. კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არ არსებობს სახელმწიფო, სადაც „კანონმდებლობა და დოქტრინები ითვალისწინებდნენ თვითნებურ ცალმხრივ გამოყოფას. „ცალკე სახელმწიფოს შექმნის მეშვეობით თვითგამორკვევის" შესაძლებლობა, რასაც საერთაშორისო სამართალი აღიარებს, ვრცელდება ტერიტორიულ და არა ეთნიკურ ერთობებზე. თანაც, ეს უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ურთიერთთანხმობის საფუძველზე.

ამასთან ერთად, რუსეთის „კონცეფცია" თვითგამორკვევის შესაძლო ფორმად განსაზღვრავს ექსტერიტორიულ ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას. ეს კულტურულ და პოლიტიკურ იზოლაციონალიზმს კი არ ნიშნავს, არამედ ხელს უწყობს ეროვნულ მრავალფეროვნებას ეთნო-კულტურული კუთვნილების, საგანმანათლებლო კულტურული საქმიანობის შესაძლებლობათა და პოლიტიკური წარმომადგენლობისა და საკანონმდებლო ინიციატივის განსაკუთრებული ფორმების გათვალისწინებით.

„კონცეფცია" ცალსახად **ზღუდავს ადგილობრივი ეთნოკრატიებისა და ეთნიკური დისკრიმინაციის წარმოქმნის შესაძლებლობებს.** ავტონომიას უფლება აქვს განსაზღვროს თავისი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ენობრივი ცხოვრების პარამეტრები, მაგრამ მისი სახელმწიფოებრიობა არ არის ერთი ხალხის განსაკუთრებული საკუთრება. ის ხორციელდება მოცემული ტერიტორიის ყველა მოქალაქის სასიკეთოდ და მათი სახელით.

დსთ-ს სტატისტიკურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა თანახმად უმუშევართა რიცხვმა თანამეგობრობის ქვეყნებში **8 მილიონ** კაცს გადააჭარბა. რეგისტრირებული უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე სომხეთში აღირიცხა (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 8,9 პროცენტი), კვლავ მაღალია უმუშევრობის დონე ყირგიზეთში, რუსეთსა და ბელორუსიაში. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღინიშნა უზბეკეთში, სადაც სამუშაოს ეძებს ოთხი მეათედი პროცენტი. საქართველოში ეს მაჩვენებელი შედარებით საშუალო დონისაა (3,3 პროცენტი). ამასთან ერთად, გასულ წლებთან შედარებით შეიმჩნევა ზრდის ერთგვარი ტენდენცია. დასაქმების სამსახურებში ოფიციალურად რეგისტრირებულთა მაჩვენებელი რეალურზე ორჯერ დაბალია. უმუშევრობის ზრდის ძირითად მიზეზებად ითვლება სამეურნეო კავშირების გაწყვეტა და წარმოების შემცირება ეკონომიკის წამყვან დარგებში.

სააგენტო **„ინტერფაქსის"** ინფორმაციით, მსოფლიო ბანკმა საქართველოს მთავრობას წაუყენა პირობა, გაუუქმოს შეღავათები უცხოელ ინვესტორებს და შეიტანოს მიმდინარე წლის ოქტომბრამდე სათანადო ცვლილებები მოქმედ კანონში. ამ კანონით უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი საწარმოები სხვადასხვა ვადით განთავისუფლებული არიან დამატებითი ღირებულების, მოგების, აგრეთვე შემოტანილი ქონებისა და ნედლეულისათვის გადასახადის გადახდისაგან. თუ ეს პირობა არ შეასრულა, საქართველოს ჩამოერთმევა უფლება მიიღოს სტრუქტურული გარდაქმნების, ელექტროენერგეტიკისა და აგროსექტორისათვის გამოყოფილი მორიგი კრედიტები. მსოფლიო ბანკი თავის გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებს, რომ ასეთ ვითარებაში ილახება ეროვნულ საწარმოთა უფლებები, რომელთაც არა აქვთ თავიანთი კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალება.

„იზვესტია" აქვეყნებს ცნობას, რომ აშშ წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა მომავალ წელს უცხოეთის სახელმწიფოებისადმი ამერიკის დახმარების 12-მილიარდიანი პაკეტი. ეს კლინტონის მიერ მოთხოვნილ თანხაზე ერთი მილიარდით ნაკლებია. 51 მილიონით შეუმცირდათ დახმარება რუსეთსა და დსთ-ს ზოგიერთ სხვა ქვეყანას. „დაისაჯა" აგრეთვე თურქეთი იმისათვის, რომ კვლავ „აგრძელებს სომხეთისათვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების ბლოკირებას, ამასთან, არ მოუნანიებია სომხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა 1915 წელს". მთელი დახმარების 40-მდე პროცენტს ისრაელი და ეგვიპტე მიიღებენ.

ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების როლის შესახებ **„კრასნაია ზვეზდას"** კორესპონდენტს თავის აზრს უზიარებს გენერალი იაკუშევი. სარდალი თვლის, რომ მძიმე შეიარაღებით აღჭურვილი ჩვეულებრივი რეგულარული ძალების ყოფნა არამართლზომიერია, ამას შესაძლოა განუჭვრეტელი შედეგები მოჰყვეს. საჭიროა გეზი ავიღოთ სხვა ამოცანებზე: დაპირისპირებული ძალების დაშორიშორება, მშვიდობიანი მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა და მნიშვნელოვანი სამეურნეო ობიექტების დაცვა. იაკუშევი თვლის, რომ ეს ძალები უნდა დაექვემდებარონ ერთ სარდლობას დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს ეგიდით.

მიმომხილველები, რომლებიც აანალიზებენ მაისის არჩევნებში გამარჯვებული თურქეთის უდიდესი „კეთილდღეობის პარტიის" პოზიციებს, აღნიშნავენ, რომ თუ პარტიის მეთაურის ნეჯმეთინ ერბაქანის არაერთი განცხადებით ვიმსჯელებთ, შეიძლება ძირეულ ცვლილებებს ველოდოთ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში. კერძოდ, შეიძლება გაძლიერდეს თურქეთის შეღწევა დსთ-ს „ისლამურ" რეგიონებში, შეიცვლება ანკარის პროდასავლური ორიენტაცია, რის შედეგადაც ნაცვლად ევროკავშირთან საბაჟო კავშირისა, შეიძლება შეიქმნას ე. წ. „ისლამური საერთო ბაზარი". „კეთილდღეობის პარტიის" მზარდი პოპულარობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია ისლამისტური განწყობილებების ზრდა თურქეთში.

არ ვიცი, რამდენად უკავშირდება ეს რუსეთის წინასაარჩევნო შეზანზარებას, მაგრამ ქალაქ ვოლგოდონსკის ცენტრში მოულოდნელად კვარცხლბეკიდან გადმოვარდა ლენინის გრანდიოზული ქანდაკება. როგორც გაზეთი **„სეგოდნია"** იუწყება, ვლადიმერ ილიჩი ღამე გადმოვარდნილა, რის წყალობითაც არავინ დაზიანებულა. სპეციალისტები თვლიან, რომ მარცხის მიზეზი კვარცხლბეკის დაღლილობაა. უკვე ქვასაც აღარ სურს იყოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის საყრდენი.

იური მოსეშვილი.

უნდა კი ციხეს რკინის კარები?..



ნაულის ქობულია.

(დასასრული)

ამას შესვლისთანავე იგრძნობ. მართლა ცხრაკლიტული უნდა გაიარო საავადმყოფოში მოსახვედრად. გაგსინჯავენ, საბუთს შეგიმოწმებენ, პიროვნების იდენტურობაში დარწმუნდებიან, დაიტოვებენ ამ საბუთს და მხოლოდ მერე გაიღება პირველი რკინის კარი. მოხვდები ვიწრო ხვრელში ბეტონის მაღალ კედლებსა და ორ დაკეტილ რკინის კარს შორის. არ არის ნასიამოვნო გრძნობა, მოკლედ რომ ვთქვა.

გხუთავს და გაწვება. და არ შველის ამას პირმშვენიერი ლია ბიბილაშვილის თანხლება, რომელიც, როგორც პატიმარ-ავადმყოფებთან პაემანების ორგანიზატორი, გაცილებს. ლია რეჟიმისა და ოპერატიული სამსახურის თანამშრომელთაგან პირველია, ვინც შირისუფლებს შესასვლელშივე ხვდება და თუ არა სამხედრო ფორმა, ვერაფრით ვერ წარმოიდგენ, რაიმე კავშირი ჰქონდეს ციხესთან. მოულოდნელია და ნუგეშივით არის აქ მომსვლელთათვის.

სანამ ამას ფიქრობ, გაიღება მეორე რკინის კარი.

მერე ეს პროცესი იმავე თანამიმდევრობით განმეორდება. ასე გადადიხარ კარიდან კარში, როგორც დაგუბებული წყალი რაბების სისტემაში.

ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ამ ცხრაკლიტულიდან საავადმყოფოს ეზოში შესული თავს ცოტა პატიმრადაც იგრძნობ, ცოტა ავადმყოფადაც, ყოველ შემთხვევაში, — შებოჭილად, დათრგუნულად.

თუმცა, ეს აღქმა ინდივიდუალურია და თავს არავის ვახვევ.

— ჩვენი საავადმყოფო, — განაგრძობს **ნაულის ქობულია,** — არის კომპლექსური პროფილის სამკურნალო დაწესებულება. ამ სფეროს ჩემი მოადგილე სამკურნალო დარგში ბადრი ბალავაძე განაგებს.

სხვაზე მეტად დატვირთული ქირურგიული განყოფილებაა, სადაც მორიგეობა 24 საათი არ წყდება. განყოფილების უფროსი, პოლიციის კაპიტანი ირაკლი მურჯიკნელი, ექიმი ორდინატორი არტემ ბალიშვილი, ანესთეზიოლოგ-რეანიმატორი იგორ ურუშაძე, საოპერაციო ექთანი ნანა აზრუმელაშვილი დღე-ღამეს ასწორებენ.

ჩაგვიტარებია გულ-მკერდისა და მუცლის ღრუს საკმაოდ რთული დიაპაზონის ოპერაციები. გვიმკურნალია თერაპიული პროფილის მძიმე სარეანიმაციო ავადმყოფებისათვის გულის ინფარქტებით, სისხლის მიმოქცევის მოშლით თავის ტვინში და სხვა.

— ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა მასალა გარკვეული ქვეტექსტებით, რომ სამართალში მიცემულ თენგიზ კიტოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესასწავლად მოიწვიეთ კონსილიუმი. ეს რა, მისდამი განსაკუთრებული პატივისცემის გამოხატულებაა?

— არა. ამას ვაკეთებთ ყველა ავადმყოფისათვის, ვისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც კონსილიუმის მოწვევას საჭიროებს. მეტიც, პატიმარ ავადმყოფს არ ვუკრძალავთ მოიწვიოს ის სპეციალისტი, რომელიც მას და მის ოჯახს სურს.

— ჯანმრთელობის დარგის რეფორმამ, რომელმაც მკურნალობა ფასიანი გახადა (გარკვეული შეღავათებით, ცხადია), როგორ აისახა ციხის საავადმყოფოზე? თქვენთან პატიმარი ფულს იხდის მკურნალობისათვის?

— მკურნალობა ჩვენთან უფასოა და ჩვენი სპეციფიკიდან გამომდინარე, არც შეიძლება სხვაგვარად იყოს.

სასჯელთა აღსრულების მთავარი სამმართველოს უფროსის, გენერალ გივი ყვარელაშვილისა და მისი მოადგილის, პოლკოვნიკ ჯემალ ქარუმიძის ძალისხმევით მომარაგებული ვართ სამკურნალწამლო პრეპარატებით, ქირურგიული მასალით. უნდა გითხრათ, რომ მომარაგების დონე თანდათან იზრდება. წლეულს რამდენჯერმე მივიღეთ მრავალი პროფილის პრეპარატები, ქირურგიული ინსტრუმენტების კომპლექტები, ლოლბანდები, გაუტკივარების საშუალებანი, ანტიბიოტიკები.

დეფიციტის პრობლემა, ცხადია, ამ საავადმყოფოსაც ვერ აუვლია გვერდს. ამიტომ უმთავრესად გადაუდებელ ოპერაციებს აკეთებდნენ, მაგრამ წლეულს უკვე შეძლეს 30 ავადმყოფის დაგეგმილი ოპერირება, — მიეცათ ამის საშუალება.

ბატონი ნაულისი დაინტერესებულ ჟურნალისტს იმასაც აცნობებს, რომ აქვთ დიაგნოსტიკის კაბინეტი, რენტგენი, ტომოგრაფიული აპარატი, ყველა სახის ლაბორატორიები — კლინიკური და ბიოქიმიური, მაგრამ ვერ ატარებენ გამოკვლევებს, ათაშანგზე, ონკოლოგიურ დაავადებებზე, ბრუცელოზზე და ასე შემდეგ, რომელთაც ადრე ჯანდაცვის სამინისტროს ინსტიტუტებსა და კლინიკებში ატარებდნენ. მთავარი ექიმი ითხოვს: ცალკეულ შემთხვევებში, გამონაკლისის წესით, უფასოდ გამოიკვლიონ სპეცკონტინგენტის ავადმყოფები.

სიტუაცია ისეთია, გინდა არ გინდა, საუბარი მაინც ბოროტებისა და ჰუმანიზმის ურთიერთობას ეხება, რომელიც აქ სამართების პირზე გადის.

— თქვენ დამნაშავეებს ჰკურნავთ, სიკვდილმისჯილებსაც. ეს რა, უხეშად რომ ვთქვათ, კაცისმკვლელი ჯანმრთელი უნდა დაიხვრიტოს?..

— პაციენტი ჩვენთვის, უწინარეს ყოვლისა, პაციენტია. დამნაშავის განსჯა ჩვენი საქმე არ არის. ვცდილობთ, აღვუდგინოთ ავადმყოფს როგორც ფიზიკური ჯანმრთელობა, ასევე ვიზრუნოთ მის სულიერ რეაბილიტაციაზე. ვმოქმედებთ კანონის ფარგლებში და ის ჩვენი თანამშრომელი, რომელიც ამ ფარგლებს გასცდება, დატოვებს კიდეც ჩვენს დაწესებულებას.

საავადმყოფოში ხვდებიან ფსიქიკურად დაავადებულებიც, მწვავე ფსიქოზებით, დეპრესირებულები. ფსიქიატრიულ განყოფილებაში გამოცდილი ფსიქიატრი ელენე ბაჩილავა მუშაობს. მას რომ ჰკითხოთ, გეტყვით, რომ არის თვითმკვლელობის, თვითგვემის და სხვა შემთხვევები და აქ ყველაფერს აკეთებენ ავადმყოფების ასეთი მდგომარეობიდან გამოსაყვანად. მკურნალობენ — მედიკამენტებით და ფსიქოთერაპიით.

განსაკუთრებული თემაა ინფექციური დაავადებები, რომლებიც, სამწუხაროდ, გავრცელებულია ციხეებში და ინფექციურ განყოფილებას, რომელსაც ელზა ლომთათიძე ხელმძღვანელობს, მუხლჩაუხრელი შრომა უწევს.

— ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტუბერკულოზური ინფექციის აფეთქება შეინიშნება. შარშანდელი და წლევანდელი მონაცემებით, სამწუხაროდ, არის ზრდის ტენდენცია. ეს საერთო მდგომარეობის შედეგია, მაგრამ საპატიმროში ამ მძიმე დაავადების გავრცელება მაინც განსაკუთრებით საგანგაშოა. ქსანში გვაქვს ტუბსაავადმყოფო-კოლონია, სადაც 250-მდე ავადმყოფია, რომელთაც თვეობით და წლობითაც კი ვმკურნალობთ.

— ექიმისთვის კატასტროფაა, როდესაც ნამკურნალები და, მისი აზრით, გამოჯანმრთელებული ავადმყოფი მოულოდნელად გარდაიცვლება. ეს — საერთოდ. თქვენნაირ სამკურნალო დაწესებულებაში ასეთი რამ, უფრო იოლად გადასატანი ხომ არ არის?

— რა თქმა უნდა, არა! 1994 წელს ჩვენს საავადმყოფოში 72 კაცი დაიღუპა. 70 პროცენტი — ფილტვების ტუბერკულოზით. 1995 წელს — 44. წლეულს, პირველ სამ თვეში მხოლოდ 8 კაცია გარდაცვლილი, შარშან შესაბამის პერიოდში 15 იყო. ძალიან უხერხულია ამ შემთხვევაში ციფრებით მანიპულირება, მაგრამ სხვანაირად დინამიკას, ტენდენციას ვერ ასახავ.

დინამიკა დადებითი ტენდენციით ხასიათდება.

სტატისტიკა. მოდით, დავჯერდეთ ამ „მშრალ მეცნიერებას", რადგან ციხის სპეციფიკაში, ამ განწირულობის სამყაროში, პატიმართა ტრაგედიაში, მათ ტკივილსა და სიხარულში, მაინც ვერ გაერკვევა გარედან მოსული კაცი.

დიდხანს ვისაუბრეთ. ნაულის ქობულია ისე დეტალურად და პროფესიულ ენაზე ლაპარაკობდა, როგორც ლექციაზე — მომავალი კოლეგების აუდიტორიასთან. პროფესიონალი ლაპარაკობდა, ქირურგი, რომელსაც ქირურგიის ყველა პროფილით უმუშავია. დისერტაცია მოსკოვში აქვს დაცული, ცნობილი ბურაკოვსკის კარდიოქირურგიის ინსტიტუტში, აკადემიკოს მოგუშთანაც მუშაობდა ფთიზიოქირურგიის სპეციალობით, პეტროვსკის ინსტიტუტში, საყლაპავისა და კუჭის კარდიალური ქირურგიის განყოფილებაში აკადემიკოს ჩერნოუსოვთან, ვიშნევსკის კლინიკაში და ასე შემდეგ.

და ასეთი სამეცნიერო-პრაქტიკული ბიოგრაფიის მქონე ახალგაზრდა მეცნიერი მოდის აქ, არცთუ პრესტიჟულ სამკურნალო დაწესებულებაში სამუშაოდ. კარგი თემაა ჟურნალისტისთვის, საინტერესოდ გასაშლელი, მაგრამ დღეს საპატიმროს საავადმყოფო გვაინტერესებს, სადაც „არცთუ იშვიათად ურთულეს ოპერაციებს წარმატებით აკეთებენ", — ასეთია შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელთა აღსრულების მთავარი სამმართველოს უფროსის, პოლიციის გენერალ-მაიორის გივი ყვარელაშვილის შეფასება. და, მოდით, მასთან საუბარი ამ წერილის ეპილოგად გამოვიყენოთ. მით უფრო, რომ ბატონი გივი არც არაფერს აკლებს, არც არაფერს ამატებს რეალურ სიტუაციას — ობიექტურია.

გენერალმა ყვარელაშვილმა მსჯავრდებული ავადმყოფის აუცილებელი მკურნალობის პრინციპი არა მარტო ადამიანის უფლებათა დაცვით ახსნა, არამედ:

— სასჯელის აღსრულებას სახელმწიფო თავის თავზე იღებს და უზრუნველყოფს, მათ შორის, ავადმყოფი ან ავად გამხდარი პატიმრის მკურნალობასაც.

მთელი მსოფლიოს პენიტენციური სისტემის ძირითადი მიმართულება აღსრულებითი კანონმდებლობის ჰუმანურობაა.

ახალი კანონპროექტი უკვე მზად არის და წარდგენილია საქართველოს პარლამენტში, მაგრამ არ დაველოდეთ მის მიღებას და ბევრი ისეთი შეღავათი განვახორციელეთ, რომლებიც მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდაში ძალიან ეხმარება.

ჩამოვაყალიბეთ პატიმართა უფლებების დაცვის საგანგებო სამსახური, რომელიც შეისწავლის პატიმართა მდგომარეობას, მათ შორის, ავადმყოფებისასაც.

ჩვენ საბიუჯეტო ორგანიზაცია ვართ. სასჯელის აღსრულების სისტემაში შრომა არ არის ეკონომიკური მოგების საშუალება, — როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, მას აღმზრდელობითი ფუნქცია ენიჭება.

ვითვალისწინებთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას და მის დანერგვას ვცდილობთ. ბევრი ექსპერტი, მათ შორის, **ეუთოს** ექსპერტები ჩამოდიან ჩვენთან. პირადად მომიწია ინგლისში წასვლა, ჩვენი დელეგაცია გახლდათ პოლონეთში... ჰუმანიზაციის საკითხი კანონმდებლობასა და ურთიერთობაში წინა პლანზე წამოვწიეთ. ზოგი რამ გამოგვდის კიდეც, წელიწად-ნახევრის განმავლობაში, რაც ამ [illegible], პატიმრის არც ერთი საჩივარი არ შემოსულა, არც ადმინისტრაციის, არც იმათ მიმართ, ვისაც უშუალო ურთიერთობა აქვთ მათთან.



ლია ბიბილაშვილი.

ძალიან ხშირად და ძალიან სერიოზულად გვამოწმებენ ექსპერტები და ამას სარგებლობის მეტი არაფერი მოაქვს. ჩვენი ყველა კარი მათთვის ღიაა. თანდათან მივდივართ იქითკენ, რომ საპატიმრო იყოს მხოლოდ საზოგადოებისგან დამნაშავის იზოლაციის და არა ჯოჯოხეთური წამების ადგილი. სამისოდ მრავალი ღონისძიება განვახორციელეთ. კვირაში ერთხელ სამმართველოს ხელმძღვანელობა ადგილებზე აწყობს მიღებას, პირისპირ ვხვდებით პატიმრებს, მათ საშუალება აქვთ, თქვან ყველაფერი, რაც აწუხებთ.

კარი გავუღეთ ჟურნალისტებსაც.

ადრე ინსტრუქციით პაემანების რაოდენობა შეზღუდული იყო. ეს შეზღუდვა მოვხსენით. კიდევ სხვა სიახლეებიც დავნერგეთ და ამ ახლებურმა მიდგომამ ისეთი ნაყოფი გამოიღო, რომ, მაგალითად, წლეულს პირველი იანვრიდან დღემდე სასჯელთა აღსრულების სისტემაში სისხლის სამართლის არცერთი დანაშაული არ დაფიქსირებულა და არცერთი გაქცევა არ ყოფილა, რაც ბოლო ასწლეულს არ ახსოვს.

თუ გავითვალისწინებთ იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც ჩვენი მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამო არის შექმნილი, გასაგები გახდება, რომ არა გვაქვს პატიმრების დასაქმების საშუალება.

რა თქმა უნდა, ბევრი აკლიათ ცივილიზებული სახელმწიფოების საპატიმროებამდე, რომლებიც ჩვენს ნორმალურ სასტუმროებს ჰგავს კომფორტით. მაგრამ, ალბათ, ესეც იქნება.

თუმცა, იქაც — **საზღვრებს გადაღმა — ციხეს რკინის კარები აქვს.**

გონდო მძინარაშვილი.



საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

„საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე

1. „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილე- ა „შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნები- ანავე.

2. გაუქმდეს 1993 წლის 30 მარტის საქართველოს რესპუბ- ის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., 3, მუხ. №73) „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების „შესა- “.

3. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ამ კანონთან შესაბამი- ამში მოიყვანოს ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, მიღების, შე- ულებისა და კონტროლის მარეგულირებელი ნორმატიული ქტები.

4. საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების 1997 წლის ბიუჯეტების პროექტების შედგენა განხორციელდეს სპეციალურად განსაზღვრული გრაფიკით, რომლის მიხედვითაც საქართველოს პრეზიდენტი 1997 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებს საქართველოს პარლამენტს წარუდგენს 1996 წლის 1 აგვისტომდე.

5. იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც არ არიან არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოები, მათ არჩევამდე ბიუჯეტის შედგენის, განხილვისა და მიღების პროცესში წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციები გადაეცეთ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, რომელთაც ქმნის და მათ საბიუჯეტო უფლებამოსილებასა და ფუნქციონირების წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

6. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს აღნიშნული ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებათა განსაზღვრისას გაითვალისწინოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებიდან არჩეული დეპუტატების სრულუფლებიანი მონაწილეობა „დეპუტატის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონით პარლამენტის წევრისათვის მინიჭებული კონტროლის უფლების გათვალისწინებით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე
გიორგი კობახიძე.

თბილისი, 1996 წლის 29 მაისი

საქართველოს კანონი
საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ

საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამო- ებათა შესახებ„ განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფ- თისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების (რაიონული (ქალაქის, რაიო-), საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის, თემის, სოფლის და ს ბიუჯეტების) და სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლისა ასავლის შედგენის, განხილვის, დამტკიცების, შესრულების, შემოსავლი- ა ხარჯების გამიჯვნის ძირითად პრინციპებს, აგრეთვე საქართველოს უმა- სი სახელმწიფო ორგანოების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რე- ლიკების ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და საქართველოს სხვა ტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სა- ნსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებას.

კარი I.
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ბიუჯეტი

ბიუჯეტი არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციების ხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაციისა და გა- ენების ძირითადი ფინანსური გეგმა.

მუხლი 2. საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის ქვეყნის ბიუჯეტების ერთიანო- ომელიც ეფუძნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, ეკონო- ურ ურთიერთობებსა და იურიდიულ ნორმებს.

მუხლი 3. საბიუჯეტო მოწყობა

საბიუჯეტო მოწყობა არის საბიუჯეტო სისტემის ორგანიზაცია და მისი ბის პრინციპები. საბიუჯეტო მოწყობა საქართველოში ეფუძნება საქართ- ლოს საბიუჯეტო სისტემაში შემავალი ყველა ბიუჯეტის (ფონდის) ერთია- ბას, სისრულეს, რეალურობას, საჯაროობას და დამოუკიდებლობას.

მუხლი 4. საბიუჯეტო პროცესი

1. საბიუჯეტო პროცესი არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების რ კანონით რეგლამენტირებული საქმიანობა ბიუჯეტების შედგენის, გან- ლვის, მიღებისა და შესრულებისათვის. საბიუჯეტო პროცესის შემადგენე- ი ნაწილია საბიუჯეტო რეგულირება, რაც წარმოადგენს სხვადასხვა დონის ჯეტებს შორის შემოსავლის წყაროების კანონით განსაზღვრულ გადანა- ებას;
2. საბიუჯეტო პროცესი საქართველოში რეგულირდება ამ კანონით, საქა- ველოს სხვა კანონმდებლობით, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონო- რი რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების და სა- თველოს ტერიტორიული ერთეულების უფლებამოსილი ორგანოების აქ- ბით;
3. ბიუჯეტს ადგენენ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარე- ინდიკატორული გეგმის პროექტის მაჩვენებლების, ფინანსთა სამინისტროს პერტული შეფასებებისა და საერთაშორისო საფინანსო ვალდებულებე- მიხედვით განსახორციელებელი ფინანსური პროგრამების გათვალისწი- ით.
4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებს საქართ- ლოს ფინანსთა სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუ- კების ბიუჯეტის პროექტს — ამ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის პროექტს — შე- მისი მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი პროგრამე- განხორციელების კვალობაზე საქართველოს პრეზიდენტის დავალებით აძლებელია შემუშავდეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საპროგ- ზო მაჩვენებლები, რომელიც მოიცავს ერთ წელზე მეტ პერიოდს.

5. საქართველოს პარლამენტი იღებს კანონს „საქართველოს სახელმწი- ბიუჯეტის შესახებ“, რომლის ფარგლებში მტკიცდება საქართველოს ცე- რალური ბიუჯეტი, განისაზღვრება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური პუბლიკების, საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტე- ათვის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერტები და მტკიცდება სპეცია- ური სახელმწიფო ფონდების შემოსავლისა და გასავლის ძირითადი მაჩვე- ლები. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს ქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გან- ზღვრული მიზნობრივი ტრანსფერტების მოცულობის გათვალისწინებით კიცებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლე- წარმომადგენლობითი ორგანოები, ხოლო „საქართველოს სახელმწიფო ბი- ტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნობრივი ტრან- რტების მოცულობის გათვალისწინებით ტერიტორიული ერთეულების ჯეტის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ტერი- რიული ერთეულის მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი განო.
6. საბიუჯეტო (საფინანსო) წელი საქართველოს ტერიტორიაზე შესაბა- ა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით).

მუხლი 5. საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი არის საფინა- ო-საბიუჯეტო პოლიტიკა, რომელიც მოიცავს სახელმწიფოში ფინანსების ბილიზაციისა და გამოყენების ღონისძიებათა ერთობლიობას სახელმწიფო ნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად. საფინანსო-საბიუჯეტო ლიტიკა ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ტარდება საგა- სახადო, ფულად-საკრედიტო, ფასებისა და სავალუტო პოლიტიკასთან შე- ნხმებით.

მოქმედი კანონებიდან გამომდინარე და საერთაშორისო ხელშეკრულებე- ა და შეთანხმებების ფარგლებში საქართველო ნებაყოფლობით კისრუ- ბს საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა შეუთანხმოს სხვა ქვეყნების მთავ- ბებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

კარი II.
საბიუჯეტო მოწყობის საფუძვლები

მუხლი 6. საბიუჯეტო სისტემის სტრუქტურა

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავს საქართველოს სახელმწიფო უჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს. საქართვე- ს სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებულია საქართველოს ცენტრა- ური ბიუჯეტი და სპეციალური სახელმწიფო ფონდები.

მუხლი 7. საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა

1. საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა უზრუნველყოფილია ერთიანი სამა- ლებრივი ბაზით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციის გამოყენებით, ერ- ნი საბიუჯეტო დოკუმენტაციით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დგენად, ერთი საბიუჯეტო დონიდან სხვა დონეზე სტატისტიკური ანგა- შგებისა და ინფორმაციის გადაცემის უზრუნველყოფით, საბიუჯეტო პრო- სის დადგენილი პრინციპებით და ფულადი სისტემის ერთიანობით.
2. საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა ეფუძნება ყველა დონის ბიუჯეტების თიერთდამოკიდებულებას, რაც ხორციელდება მარეგულირებელი საშე- სავლო წყაროების გამოყენებით და მათი დადგენილი წესით გადანაწილე- თ.
3. საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა ხორციელდება ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის, მათ შორის საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებით.

მუხლი 8. ბიუჯეტების დამოუკიდებლობა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან.

საქართველოს ბიუჯეტების დამოუკიდებლობას განაპირობებს ყველა დონის ბიუჯეტის უზრუნველყოფა კანონით განსაზღვრული საკუთარი და გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესაბამისი მარეგულირებელი შემოსავლის წყაროებით, რომელთა გამოყენების მიმართულებას დამოუკიდებლად განსაზღვრავენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები.

სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებს არა აქვთ უფლება ჩაერიონ სახელმწიფო ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა როგორც აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების, ისე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის შესრულებისათვის.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენების ყოველი შემთხვევა განიხილება როგორც უკანონო ქმედება. მითვისებული სახსრები ამოიღება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში უდავო წესით და დგება დამნაშავე პირთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი.

მუხლი 9. ბიუჯეტების შემოსავალი. საბიუჯეტო სისტემის ყველა რგოლის შემოსავალი ფორმირდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობითა და ამ კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 10. ბიუჯეტების ხარჯები

ყველა დონის ბიუჯეტის ხარჯები იყოფა კაპიტალურ და მიმდინარე ხარჯებად.

კაპიტალურ ხარჯებს მიეკუთვნება ყველა ის საბიუჯეტო ასიგნება, რომლებიც მიემართება საინვესტიციო და საინოვაციო პროგრამებს და ღონისძიებებს, აგრეთვე, კაპიტალის გადიდებასთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი.

მიმდინარე ხარჯებს მიეკუთვნება ყველა სხვა დანარჩენი ხარჯი.

მუხლი 11. საბიუჯეტო კლასიფიკაცია

1. საქართველოში გამოიყენება ბიუჯეტის შემოსავლისა და ხარჯების ასახვის ერთიანი ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაცია, რომელიც პასუხობს სახელმწიფო ფინანსების საერთაშორისო სტატისტიკის ნორმებს და უზრუნველყოფს სტატისტიკურ ინფორმაციებში საბიუჯეტო მონაცემების შეუფერხებელ ჩართვას.
2. საბიუჯეტო კლასიფიკაციის სტრუქტურასა და ძირითად შემადგენლობას ამტკიცებს და მასში ცვლილებები შეაქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით.

მუხლი 12. ბიუჯეტების დაბალანსება

1. ყველა დონის ბიუჯეტის დაბალანსება არის საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის მთავარი პირობა.
2. ხარჯების შემოსავალზე გადამეტება ქმნის ბიუჯეტის დეფიციტს. ბიუჯეტის დეფიციტის წარმოქმნისას პირველ რიგში დაფინანსდება ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები.
3. ბიუჯეტის დაბალანსებისათვის მტკიცდება ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული სიდიდე. თუ ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხდება ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული სიდიდის გადაჭარბება, ან მნიშვნელოვნად მცირდება ბიუჯეტის შემოსავლის მოცულობა, გამოიყენება ბიუჯეტის ხარჯების სეკვესტრის მექანიზმი.

სეკვესტრი არის საბიუჯეტო ხარჯების ყოველთვიური პროპორციული შემცირება ბიუჯეტის ხარჯების ყველა მუხლის მიხედვით დარჩენილი ფინანსური წლის მანძილზე. სეკვესტრს არ ექვემდებარება ბიუჯეტის ხარჯების დაცული მუხლები.

ბიუჯეტის ხარჯების დაცული მუხლების ჩამონათვალს თითოეული საბიუჯეტო დონის მიხედვით განსაზღვრავენ შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

4. ბიუჯეტის დეფიციტი იფარება სახელმწიფო ვალის ფორმირებით და საკრედიტო რესურსების გამოყენებით. სახელმწიფო ვალის სიდიდე და საკრედიტო რესურსების მოცულობა დგინდება ბიუჯეტის დამტკიცებისას.
5. სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს ეკრძალებათ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ამცირებენ ბიუჯეტის შემოსავალს ან ადიდებენ მის ხარჯებს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობის გაზრდას.

მუხლი 13. ბიუჯეტების ურთიერთდამოკიდებულება საფინანსო სისტემის სხვა ელემენტებთან

1. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს საქართველოს საფინანსო სისტემის ნაწილს, რომელიც ამას გარდა, მოიცავს დამოუკიდებელი იურიდიული და ფიზიკური პირების ფინანსებსაც.

ფიზიკური და იურიდიული პირების გადასახადი, გადასახდელი და ჯარიმა ბიუჯეტებში ჩაირიცხება პირველ რიგში და უდავო წესით.

დაუშვებელია ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან სახსრების ამოღება კანონით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების, შენატანების და სხვა სავალდებულო გადასახდელების გადამეტებით.

2. ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების ნაწილი შეიძლება შეიცავდეს სუბსიდიებს ცალკეულ იურიდიულ პირზე. ამ ქმედებას არ შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოს საკუთრების უფლების გავრცელება შესაბამისი საწარმოს ან სხვა იურიდიული პირის საკუთრებაზე.
3. ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების ნაწილი შეიძლება შეიცავდეს ინვესტიციებს ახლად შექმნილი ან უკვე მოქმედი საწარმოების კაპიტალში. ამ ინვესტიციების შედეგს წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრების უფლების გავრცელება საწარმოში ჩადებული ინვესტიციების ექვივალენტური კაპიტალის ნაწილზე, რაც გამოიხატება იმით, რომ სახელმწიფო ფლობს მთლიანად ამ ნაწილს ან სააქციო საზოგადოების, ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების აქციებს (წილს).
4. საბიუჯეტო ინვესტიციების ხარჯზე შექმნილი სახელმწიფო საკუთრების მართვის უფლება გადაეცემა სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოს.
5. სახელმწიფო საკუთრებიდან მიღებული ან ქონების გაყიდვით და იჯარით გაცემით მიღებული შემოსავალი დადგენილი წესით მთლიანად გადაირიცხება ბიუჯეტში ან მიემართება შესაბამისი საწარმოს განვითარებისათვის.

კარი III
საბიუჯეტო პროცესის საფუძვლები

მუხლი 14. საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაცია

1. ბიუჯეტის პროექტის შედგენა და ბიუჯეტის შესრულება ევალებათ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს. ბიუჯეტის განხილვა, დამტკიცება და ბიუჯეტის შესრულების კონტროლი შესაბამისად საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციაა.
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულება ხდება ცენტრალური სახაზინო სამსახურის, ხოლო დანარჩენი ბიუჯეტებისა — საქართველოს ეროვნული ბანკისა და ადგილებზე მისი განყოფილებების მეშვეობით. ასეთი განყოფილების არარსებობის შემთხვევაში შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ანგარიშების წარმოება შეიძლება განახორციელონ სხვა ბანკებმაც საქართველოს ეროვნული ბანკის მითითებით.
3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან შესაბამისი ტერიტორიის კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება წარუდგინონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ ორგანოს და საქართველოს კონტროლის პალატას. საბიუჯეტო ანგარიშგების პერიოდულობასა და ფორმას ყველა დონის ბიუჯეტისათვის ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტი.
4. საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ბიუჯეტის განხილვა, დამტკიცება და ამ ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენა მიმდინარეობს საჯაროდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა განსახილველი საკითხი კანონმდებლობით განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას.

მუხლი 15. ბიუჯეტის პროექტის შედგენა, განხილვა და დამტკიცება

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად ადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, რომელიც მოიცავს საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის და სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლისა და გასავლის პროექტებს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერტების მოცულობის პროექტს.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ადგენენ აფხაზეთისა და აჭარის ცენტრალური ბიუჯეტის პროექტსა და კონსოლიდირებული ბიუჯეტის ანუ შესაბამისი ტერიტორიის ბიუჯეტების პროექტების ნაერთს.

ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ადგენენ რაიონული (ქალაქის რაიონის), ქალაქის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის, თემის, სოფლის, დაბის ბიუჯეტების პროექტებს და კონსოლიდირებული ბიუჯეტის პროექტს, რომელიც დაქვემდებარებული ტერიტორიის ბიუჯეტების პროექტების ნაერთს წარმოადგენს.

2. ბიუჯეტის პროექტის ფორმირება ხდება ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის პროექტის მაჩვენებლების, მიზნობრივი პროგრამების, აგრეთვე ეკონომიკის სექტორებისა და დარგების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მიმდინარე და მოსალოდნელი მაჩვენებლების ანალიზისა და ექსპერტული შეფასების საფუძველზე. ასეთი პროგნოზირების შედეგად მზადდება დასაბუთება როგორც საბიუჯეტო ხარჯების, ისე შემოსავლის ცალკეული სახეების გასაანგარიშებლად, ამასთან ბიუჯეტის ხარჯები ფორმირდება შემოსავლის პროგნოზების გათვალისწინებით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლისა და ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებლებს ახალი საბიუჯეტო წლისათვის და ბიუჯეტების დაბალანსების წინადადებებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარუდგენს შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები — აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ხოლო სხვა ტერიტორიული ერთეულების საფინანსო ორგანოები— მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.

ფინანსური და მატერიალური შესაძლებლობების განხილვის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი ორგანოები იღებენ გადაწყვეტილებას საბიუჯეტო შემოსავლისა და ხარჯების პარამეტრების შესახებ ახალი საბიუჯეტო წლისათვის. ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ხორციელდება ბიუჯეტების პროექტების შემუშავება შემოსავლის წყაროებისა და ხარჯების სახეების მიხედვით. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების პროექტები წარედგინებათ, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების პროექტები, რომლებიც მოიწონეს შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა, დასამტკიცებლად, წარედგინებათ შესაბამისად საქართველოს პარლამენტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებსა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებს.
4. საქართველოს პარლამენტი იღებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელიც მოიცავს საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტსა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავალსა და გასავალს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფორმირებისათვის მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებელი ტრანსფერტების მოცულობებს.

საქართველოს პარლამენტი კანონით ამტკიცებს სახელმწიფო გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების ეკონომიკურ ნორმატივებს 3-5 წლის ვადით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები შესაბამისი ტერიტორიის ბიუჯეტების პროექტს ამტკიცებენ შესაბამისი აქტით.

5. საქართველოს პარლამენტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური ბიუჯეტებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფარგლებში გათვალისწინებული ხარჯების გადამეტებით ამტკიცებენ გარდამავალი საბრუნავი სახსრების მოცულობას ახალი საფინანსო წლის დასაწყისისათვის.

ყველა დონის ბიუჯეტისათვის გარდამავალი საბრუნავი სახსრების მოცულობის გაანგარიშების წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

გარდამავალი საბრუნავი სახსრები აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება წლის განმავლობაში დროებითი ფინანსური გარღვევების დასაფარავად და იმავე წელს უნდა იქნეს აღდგენილი იმ მოცულობით, რაც განისაზღვრა ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

6. საქართველოს პარლამენტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები შესაბამის ბიუჯეტს ამტკიცებენ ახალი საბიუჯეტო (საფინანსო) წლის დაწყებამდე.

ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ბიუჯეტების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში ყველა დონის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს უფლება აქვთ ადრე ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი ხარჯები გასწიონ თვეში წინა წლის ბიუჯეტის ფაქტიური მოცულობის ერთი მეთორმეტედის ოდენობით მიღებული შემოსავლის ფარგლებში.

მუხლი 16. საბიუჯეტო რეგულირება

1. საბიუჯეტო რეგულირება ხორციელდება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის სახელმწიფო შემოსავლის წყაროების განაწილებით. საშემოსავლო წყაროების უკმარისობის შემთხვევაში მხოლოდ მოსახლეობის სოციალური დაცვის, ეკოლოგიური საკითხების გადაწყვეტისა და სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ კონკრეტული ღონისძიებებისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შეიძლება გამოეყოთ ტრანსფერტი და, თუ არის თავისუფალი საბიუჯეტო სახსრები — მოკლევადიანი საბიუჯეტო სესხიც.
2. ტრანსფერტის ოდენობა ცალკეული ბიუჯეტის მიხედვით მტკიცდება ახალი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს და გადაეცემა ქვედა დონის ბიუჯეტს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. მიზნობრივი პროგრამისათვის გამოყოფილი ტრანსფერტები აუთვისებლობისა და არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაში უკან უნდა დაბრუნდეს.
3. საბიუჯეტო სესხი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება გამოეყოს ყველა დონის ბიუჯეტს, უკან დაბრუნების პირობით, ბიუჯეტის შესრულების პროცესში დროებით წარმოქმნილ სიძნელეებთან დაკავშირებით მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

მუხლი 17. საგანგებო ბიუჯეტი

1. საქართველოს პარლამენტს საქართველოში ან მის ცალკეულ რეგიონში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის წარდგენით შეუძლია დაამტკიცოს საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.
2. საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად გადასახადებს, მოსაკრებლებსა და სხვა სავალდებულო გადასახდელებს აწესებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით.

მუხლი 18. ბიუჯეტების შესრულება

1. ბიუჯეტის შესრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.
2. საქართველოს ბიუჯეტების შესრულების პროცესში დამატებით მიღებული საკუთარი შემოსავალი, შემოსავლის ხარჯებზე გადამეტებული თანხა და აგრეთვე ხარჯების ეკონომია, ამოღებას არ ექვემდებარება და რჩება შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში.
3. წლის განმავლობაში შემოსავლისა და ხარჯების დაწესებული დონიდან გადახრის შემთხვევებს (გარდა ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულისა), რომელიც მოითხოვს დაფინანსების დამატებითი წყაროების გამოძებნას, განიხილავს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ისეთი ნორმატიული საკანონმდებლო აქტების მიღების შემთხვევაში, რომელიც ზრდის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებს ან ამცირებს მათ შემოსავალს, ამ ბიუჯეტებს სათანადო სახსრები აუნაზღაურდებათ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტების ხარჯების შემცირების ან შემოსავლების გაზრდის შემთხვევაში კი შესაბამისი სახსრები გადაეცემა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს.

4. ბიუჯეტების შესრულების პროცესში სახელმწიფო სახაზინო სამსახური, საქართველოს ეროვნული ბანკი თავისი ფილიალებით და სხვა მომსახურე ბანკები ბიუჯეტების შემოსავლისა და ხარჯების საკასო შესრულებას აღრიცხავენ და ანგარიშგებას ადგენენ საბიუჯეტო კლასიფიკაციის ფუნქციონალურ და ეკონომიკურ ჭრილში.
5. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი ორგანოები შესაბამისი ტერიტორიის ბიუჯეტების შესრულებაზე ანგარიშგებას წარუდგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს კონტროლის პალატას. ანგარიშგების წარდგენის წესს, ვადასა და ფორმას განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 19. ბიუჯეტის შესრულების კონტროლი

საქართველოს ბიუჯეტების შესრულების კონტროლი ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კარი IV.
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი

ა) საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის დანიშნულება, შემოსავალი და ხარჯები

მუხლი 20. საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის დანიშნულება

საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში თავს იყრის ფულადი სახსრები, რომლებიც ხმარდება საერთო — სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ეკონომიკური, სოციალური, საგარეო-ეკონომიკური, ქვეყნის თავდაცვისა და სუვერენული ქვეყნის ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებებს, აგრეთვე საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებას.

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების უთანაბრო ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედეგად წარმოქმნილი დისპროპორციის დაძლევისა და ერთიანი სოციალური პოლიტიკის გატარების მიზნით საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან სახსრები მიზნობრივი ტრანსფერტების სახით გადაეცემა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს.

მუხლი 21. საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავალი

საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავალში მთლიანად ჩაირიცხება შემდეგი სახელმწიფო გადასახადები:

დამატებული ღირებულების გადასახადი;
აქციზი;
საბაჟო გადასახადი;
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადი;
ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების გადასახადი.

გარდა ამისა, საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირიცხება საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების მიხედვით სხვა ბიუჯეტებში გადასაცემი ანარიცხების გამოკლების შემდეგ დარჩენილი მოგების (შემოსავლის) გადასახადისა და ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის ნაწილი.

საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში დადგენილი წესით ჩაირიცხება აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სხვა საგადასახადო შემოსავალიც.

(დასასრული მე-4 გვ).

(დასასრული)

საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლის ძირითად სახეებს მიეკუთვნება:

სახელმწიფო ქონების და ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი;

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი სახელმწიფოს მიერ მთლიანად ან მისი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირების მოგებიდან შემოსავალი;

საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დაწესებული სხვადასხვა მოსაკრებლები და გადასახდელები;

გრანტები და ტრანსფერტები;

სხვა შემოსავალი.

მუხლი 22. საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები

საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლით ფინანსირდება:

ინვესტიციები საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტებზე;

გარემოს დაცვის, გეოლოგიურ-სადაზვერვო და გეოლოგიურ-საძიებო, ტყეების მოვლისა და აღდგენის, სასოფლო-სამეურნეო და ჰიდრომელიორაციული, საერთო სახელმწიფოებრივი პროგრამები;

მოსახლეობის სოციალური დაცვის საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამები;

სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი მიზნობრივი პროგრამები;

საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები;

განათლების, მეცნიერების, კულტურის, ინფორმაციის მასობრივი საშუალებების, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების, ფიზიკური კულტურისა და სოციალური დაცვის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებები, ორგანიზაციები და ღონისძიებები;

სახელმწიფო რეზერვებისა და სამობილიზაციო რეზერვების შექმნისა და შევსების ხარჯები;

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების, სამართალდამცავი ცენტრალური ორგანოების, პროკურატურის ორგანოების, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების და კონტროლის პალატის შენახვა;

თავდაცვისა და სასაზღვრო ჯარები;

ბიუჯეტური ხარჯების დაფინანსების წყაროდ გამოყენებული ბანკის კრედიტებისა და სახელმწიფო ვალის დაფარვა, აგრეთვე მისი მომსახურება;

საქართველოს პრეზიდენტის ფონდის, სახელმწიფო სარეზერვო ფონდის, აგრეთვე სხვა მიზნობრივი საბიუჯეტო ფონდებისა და რეზერვების შექმნა;

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის საბიუჯეტო სესხების და მიზნობრივი ტრანსფერტების გადაცემა;

საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული სხვა ღონისძიებები.

ბ) სპეციალური სახელმწიფო ფონდების დანიშნულება, შექმნის წესი, შემოსავალი და ხარჯები

მუხლი 23. სპეციალური სახელმწიფო ფონდების არსი და მათი შექმნის წესი

1. სპეციალური სახელმწიფო ფონდი წარმოადგენს ფინანსური რესურსების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება მიზნობრივი დანიშნულებით. საქართველოში არსებული დამოუკიდებელი სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლისა და გასავლის შედგენა, დამტკიცება და შესრულება ხდება საქართველოს ცენტრალური, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისაგან დამოუკიდებლად, ამასთან ისინი კონსოლიდირებული არიან საქართველოს სახელმწიფო და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში.
2. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, საქართველოს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი, საქართველოს სახელმწიფო საგზაო ფონდი მთლიანად კონსოლიდირებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდის კონსოლიდაცია ხდება საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტსა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში.
3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული წესით იქმნება მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ანუ მხარის ფონდი.
4. საქართველოს ტერიტორიაზე ახალი სპეციალური სახელმწიფო დამოუკიდებელი ფონდის შექმნის საკითხს წყვეტს მხოლოდ საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 24. სპეციალური სახელმწიფო ფონდის შემოსავალი და ხარჯები

სპეციალური სახელმწიფო ფონდის შემოსავლის წყაროებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა, გადასახადები და სხვა გადასახდელები, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამის ბიუჯეტებში ჩასარიცხად. არ შეიძლება მიმართულ იქნეს სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში.

მუხლი 25. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენა და განხილვა

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესადგენი სამუშაოების ორგანიზაციას საქართველოს პრეზიდენტის დავალებით ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ეს მუშაობა იწყება ახალი საბიუჯეტო წლის დადგომამდე 10 თვით ადრე.
2. პირველ ეტაპზე შემუშავდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები. ამისათვის დგინდება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზი, ფინანსური რესურსების ნაერთი ბალანსი და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის

სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს ეროვნული ბანკის ურთიერთკოორდინაციით.

აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, სამინისტროები, უწყებები, ცალკეული ორგანიზაციები, საწარმოები ვალდებული არიან ამ მიზნით სათანადო მონაცემები და გაანგარიშებები წარუდგინონ ზემოთ ჩამოთვლილ უწყებებს.

3. ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე შვიდნახევარი თვით ადრე საქართველოს პრეზიდენტს წარედგინება:

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები;

საქართველოს ტერიტორიის მიხედვით ფინანსური რესურსების ნაერთი ბალანსი;

საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები;

4. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებს საქართველოს პარლამენტს კომიტეტებთან შესათანხმებლად წარუდგენს მიმდინარე საბიუჯეტო წლის 1 ივნისამდე.
5. ბიუჯეტის პროექტის შედგენის მეორე ეტაპზე საქართველოს პარლამენტის კომიტეტები განიხილავენ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებს და ამზადებენ დასკვნებს.
6. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ორგანიზაციასა და კოორდინაციას უწევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განხილვისა და შეთანხმების პროცესს. აუცილებლობის შემთხვევაში ეს კომიტეტი ცალკეული სამინისტროებიდან, უწყებებიდან და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებიდან ითხოვს და იღებს საჭირო ინფორმაციასა და ამზადებს დასკვნას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებზე.
7. საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განხილვის შემდეგ დასკვნა შესაბამისი წინადადებებითა და შენიშვნებით ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს მიმდინარე საბიუჯეტო წლის 1 ივლისამდე.
8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტის კომიტეტებთან შეთანხმებული ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების გათვალისწინებით ამზადებს კანონის პროექტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს განსახილველად წარედგინება მიმდინარე საბიუჯეტო წლის 15 სექტემბრამდე.
9. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მომავალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე 3 თვით ადრე.

მუხლი 26. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება

1. საქართველოს ახალი საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი განიხილება საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომებზე პარლამენტის კომიტეტებში წინასწარი განხილვის შემდეგ.
2. საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ახალი საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენებებს წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი. ამ მოხსენებებით საქართველოს პარლამენტის სხდომაზე შეიძლება გამოვიდეს საქართველოს მთავრობის წევრი საქართველოს პრეზიდენტის დავალებით.

საქართველოს პრეზიდენტის მოხსენებებთან ერთად საქართველოს პარლამენტი ისმენს საქართველოს კონტროლის პალატისა და საქართველოოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

3. საქართველოს პარლამენტი ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს კანონს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რომლის ფარგლებში მტკიცდება:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლის (თითოეული წყარო) და ხარჯების (ფუნქციონალური კლასიფიკაციით) მიხედვით;

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფი მიზნობრივი ტრანსფერტების მოცულობები;

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი;

საქართველოს სახელმწიფო სარეზერვო ფონდი;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საერთაშორისო ვალდებულებების მიხედვით გადასახდელი თანხების მოცულობა;

საქართველოს კანონი

საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ

სახელმწიფო ვალის სიდიდე;

საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი საბანკო კრედიტის სიდიდე;

სახელმწიფო ვალის პროცენტების გადახდისათვის და წინა წლებში წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანებების დაფარვისათვის საჭირო ასიგნებების მოცულობა;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაუბალანსებლობის ზღვარი (მეტობა ან დეფიციტი აბსოლუტური მნიშვნელობით და პროცენტულად პროგნოზირებული შემოსავლების მოცულობასთან).

4. თუ საქართველოს პარლამენტი არ მიიღებს კანონს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტი ორი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს ამ კანონპროექტის ახალ ვარიანტს.

თუ ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ვერ მოხერხდა ბიუჯეტის კანონის მიღება, სახელმწიფოს მიერ ადრე ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი ხარჯები დაიფარება ამ კანონის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

5. საქართველოს პარლამენტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონს იღებს პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
6. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ საქართველოს კანონს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.
7. საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ ქვეყნდება პრესაში.

მუხლი 27. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება და კონტროლი

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი სრულდება ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილი განაწესის მიხედვით. ეს პროცესი რეგულირდება შესაბამისი კანონებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლს ახორციელებს საქართველოს პარლამენტი და საქართველოს კონტროლის პალატა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ოპერატიული კონტროლი შემოსავლის დროულ და სრულ მობილიზებაზე, აგრეთვე ამ სახსრების ხარჯვაზე ეკისრებათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მისი სისტემის ტერიტორიულ სტრუქტურულ ერთეულებს.

2. საბიუჯეტო წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესის მიმდინარეობას ყოველკვარტალურად განიხილავენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტები. განხილვის პროცესს ორგანიზაციას უწევს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი. აუცილებლობის შემთხვევაში განხილვის შედეგები მოხსენდება საქართველოს პარლამენტს.

მუხლი 28. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიში

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშს ადგენს და საქართველოს პრეზიდენტს განსახილველად წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
2. საქართველოს პრეზიდენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.
3. საქართველოს კონტროლის პალატა პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის პარლამენტში წარდგენის დღიდან არა უგვიანეს ორი კვირისა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით.
4. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს პარლამენტი განიხილავს მისი წარმოდგენიდან არა უგვიანეს 45 დღისა.
5. მთავრობის ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მტკიცდება, თუ ზუსტად და სრულად ასახავს გასულ საბიუჯეტო წელს ბიუჯეტში შემოსავლისა და ხარჯების მოცულობებს, ხარჯების გაწევის კანონიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია არ დაამტკიცოს ანგარიში.
6. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აგრეთვე „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევასთან დაკავშირებით პარლამენტი უფლებამოსილია ბიუჯეტის კანონის შესრულების ნაწილში მთავრობის საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიოს და პრეზიდენტის წინაშე დასვას აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით მისცეს პრეზიდენტს რეკომენდაციული ხასიათის წინადადებები.
7. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში და საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილება ანგარიშის დამტკიცების შესახებ ქვეყნდება პრესაში.

კარი V.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები

მუხლი 29. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების დანიშნულება

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები წარმოადგენენ ამ ტერიტორიათა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ფინანსურ ბაზას. ამ ბიუჯეტების მეშვეობით ხორციელდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა სახის პროგრამების, ადგილობრივი რეგიონალური მნიშვნელობის ღონისძიებების დაფინანსება.
2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები დამოუკიდებლად ადგენენ, ამტკიცებენ და ასრულებენ შესაბამის ბიუჯეტებს.

მუხლი 30. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავალი

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ჩაირიცხება შემდეგი შემოსავალი:

მიწის გადასახადი;

გარემოზე ზემოქმედების გადასახადი;

საწარმოთა და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი;

სახელმწიფო ბაჟი;

საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციისა და სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციისათვის გადასახადი.

ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო გადასახადებთან ერთად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ჩაირიცხება საქართველოს პარლამენტის მიერ მოგების (შემოსავლის) გადასახადიდან და ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადიდან ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივებით განსაზღვრული შემოსავალი.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და კანონმდებლობის დაცვით აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ შემოღებული ყველა ადგილობრივი გადასახადი, მოსაკრებელი და არასაგადასახადო შემოსავალი.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ჩაირიცხება აგრეთვე სხვა გადასახადები, მოსაკრებლები და სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავალი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერტები.

მიღებული სესხები, აგრეთვე გაცემული სესხის დაბრუნებით მიღებული შემოსავალი.

მუხლი 31. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლის განაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლის განაწილება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე მოქმედი სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ხორციელდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოებისმიერ დადგენილი წესით.

მუხლი 32. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ხარჯები

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები დამოუკიდებლად წყვეტენ შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავლის გამოყენების მიმართულებებს, გარდა იმ მიზნობრივი ტრანსფერტებისა და სესხებისა, რომლებიც გადაეცემა შესაბამის ბიუჯეტს სხვა დონის ბიუჯეტიდან.
2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში იქმნება სარეზერვო, მიზნობრივი და სხვა ფონდები, რომელთა სიდიდეს განსაზღვრავენ შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები.
3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ მათ განკარგულებაში არსებული თავისუფალი სახსრები მიმართონ სამეურნეო საქმიანობაში — მისცენ სესხები საწარმოებსა და სხვა იურიდიულ პირებს..

მუხლი 33. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ხარჯების მიმართულებების გამიჯვნა სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის.

ხარჯების მიმართულებების გამიჯვნა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის დასაფინანსებელი ღონისძიებების მნიშვნელობის, ცალკეული საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების დაქვემდებარების და ტერიტორიული განლაგების გათვალისწინებით ხდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 34. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შედგენა

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ განსაზღვრული წესით ადგენენ შესაბამისი საფინანსო ორგანოები და იგი ეფუძნება:

შემოსავლის საკუთარ წყაროებს;

დამატებითი შემოსავლის წყაროებს, რომელსაც გამოძებნიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები;

შესაბამისი ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების მოთხოვნილებებს.

მუხლი 35. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების განხილვა და დამტკიცება

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების განხილვისა და დამტკიცების წესს განსაზღვრავენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები და იგი არ ეწინააღმდეგება ამ კანონში ჩამოყალიბებულ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის განხილვისა და მიღების ვადას და წესს.
2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს ამტკიცებენ შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები და მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

დამტკიცებული ბიუჯეტი სავალდებულოა შესასრულებლად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის.

დამტკიცებულ ბიუჯეტში უნდა აისახოს:

შემოსავლის და ხარჯების საერთო მოცულობა ძირითადი წყაროებისა და მიმართულებების მიხედვით;

ხარჯების შემოსავალზე მეტობის (დეფიციტის) ზღვრული ოდენობა;

სარეზერვო, მიზნობრივი და სხვა ფონდების მოცულობა მათი შემოსავლისა და ხარჯების სახეების გამოყოფით და საბრუნავი სახსრების გარდამავალი ნაშთის სიდიდე;

სხვა დონის ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახადებიდან ანარიცხების ნორმატივები.

მუხლი 36. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულება

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულებას ორგანიზაციას უწევენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე შესაბამის ტერიტორიაზე არსებული საფინანსო და საგადასახადო სამსახურები.
2. ბიუჯეტი სრულდება შემოსავლისა და გასავლის განწერის მიხედვით კვარტალური და თვიური დაყოფით, რომელსაც ადგენს შესაბამისი საფინანსო ორგანო, ხოლო იქ, სადაც ასეთი არ არის, მმართველობის ადგილობრივი ორგანო — დამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად.
3. ბიუჯეტის შესრულების პროცესში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობითი ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებს შეუძლიათ შეიტანონ ცვლილება ბიუჯეტის შემოსავალსა და ხარჯებში დადგენილი წესით ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობის გაზრდის გარეშე.
4. ბიუჯეტის შესრულების პროცესში მიღებული დამატებითი შემოსავალი ან შემოსავლის ხარჯებზე მეტობა, რომელიც წარმოიქმნა შემოსავლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებითა და ხარჯების ეკონომიით, რჩება შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოს განკარგულებაში, ამოღებას არ ექვემდებარება და გამოიყენება მისი შეხედულებისამებრ.
5. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულების კონტროლს ახორციელებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს კონტროლის პალატა. ბიუჯეტებში შემოსავლის დროულ და სრულ შემოსვლას და სახსრების ეფექტიან და მიზნობრივ ხარჯვას ოპერატიულ კონტროლს უწევენ საფინანსო ორგანოები და შესაბამისი ტერიტორიის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია.

მუხლი 37. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულების ანგარიში

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშს ადგენენ შესაბამისი საფინანსო ორგანოები და განსახილველად წარუდგენენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს და მმართველობის ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებს. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება ხდება ამ კანონის 26-ე მუხლში მოცემული წესის ანალოგიურად.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დადგენილ ვადაში წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს კონტროლის პალატას.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულების ანგარიში ქვეყნდება პრესაში.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე

თბილისი, 1996 წლის 29 მაისი.

პარლამენტის კომიტეტებში

ნარკომანიას — შეურიგებელი ბრძოლა

20 ივნისს გაიმართა საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის გაფართოებული სხდომა.

საკომიტეტო მოსმენაზე იმსჯელეს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. მოისმინეს ინფორმაციები სამართალდამცავ ორგანოთა და სხვა უწყებათა ხელმძღვანელების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

განიხილეს კანონის პროექტი

ეკონომიკისა და განვითარების კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 20 ივნისს გაიმართა, განიხილეს პროდუქციისა და მომსახურების სერთიფიკაციის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი, აგრეთვე საკითხი აფხაზეთის ბიუჯეტის ფორმირების, საინვესტიციო ფონდის და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შემუშავებულ ჯგუფში მონაწილეობის შესახებ. სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია დარგობრივი ეკონომიკის კონსტიტუციური საფუძვლების და ეკონომიკის დარგებში ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრის შესახებ.

მზადდება კანონპროექტები

20 ივნისს გაიმართა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტი.

დეპუტატებმა იმსჯელეს „საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. როგორც აღინიშნა, ცვლილებები გამოწვეულია კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის გამო. გამოითქვა საინტერესო მოსაზრებანი საქართველოს კონტროლის პალატის საკონტროლო საქმიანობის სფეროსა და უფლებამოსილებებზე, კონტროლის პალატის სტრუქტურის დამტკიცების წესზე და სხვა. გადაწყდა, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული ცვლილებები აუცილებლად მისაღებია და მას კომიტეტი ახლო მომავალში წარუდგენს პარლამენტის პლენარულ სხდომას.

პარლამენტარებმა განიხილეს კანონპროექტი „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“ და „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონებში დამატებებისა და ზოგიერთი დარგის საწარმოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე“ საქართველოს კანონის გაუქმების შესახებ. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე თვის წინათ აგრარული პოლიტიკის კომიტეტის წარდგენით პარლამენტმა შეიტანა დამატებები კანონებში. საქმე ეხებოდა ჩაის წარმოებასთან დაკავშირებით გარკვეული საგადასახადო რეჟიმის შეცვლას. როგორც კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, ეს ცვლილებები შეთანხმებული არ იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან. კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ განაცხადა, რომ საჭიროა საქართველოს მხარემ დაიცვას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამიტომ, ადრე მიღებული კანონი აუცილებლად უნდა გაუქმდეს, ასეთია კომიტეტის წევრთა დასკვნაც.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად, მეწარმეთათვის თანაბარუფლებიანი კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში მომზადდა „საწარმოთა მოგების (შემოსავლების) გადასახადის შესახებ“ . საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, რომლებიც ეხება კანონით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების გაუქმებას.

კომიტეტის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე „საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი. კანონპროექტი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ საავტომობილო გზების შენახვისათვის დაწესებულმა გადასახადებმა მნიშვნელოვნად შეამცირა საავტომობილო მიმოსვლა საზღვრისპირა რაიონებს შორის, ამიტომაც კანონპროექტი მომზადდა საქართველოს საზღვრისპირა რაიონების მოსახლეობისათვის საგზაო გადასახადის მოწესრიგების მიზნით, და იგი პარლამენტს წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტმა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საგზაო ფონდის გადასახადის განაკვეთის მნიშვნელოვანი შემცირება აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის საზღვრისპირა რაიონებში რეგისტრირებული მსუბუქი ავტომანქანებისა და ავტობუსების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისათვის.

ამავე დროს, დადგენილი გადასახადისაგან თავისუფლდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ინგილოებით დასახლებული სამი რაიონის მოსახლეობა.

საქინფორმი

ოეზია უპირველეს ყოვლისა

რევაზ ამაშუკელი—60

ბატონ რევაზ ამაშუკელს

ბატონო რევაზ!

ულრმესი პატივისცემით და სიყვარულით გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს.

ქართულ პოეზიაში და საერთოდ საქართველოს კულტურულ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი უკავია თქვენს შემოქმედებას. თქვენ, თქვენი მოღვაწეობითა და სულისკვეთებით ყოველთვის იდექით ჩვენი ერის ეროვნულ ინტერესებთან, რასაც დიდად აფასებს ჩვენი ხალხი.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ. მოგანიჭოთ უფალმა ჯანმრთელობა, სიხარული და ძალა კვლავაც ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ჩვენი ერის სამსახურში.

პატივისცემით

ილია II,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

18 ივნისი, 1996 წელი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია სულითა და გულით მიესალმება ბატონ რევაზ ამაშუკელს, ჩინებულ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ულოცავს სახელოვან საიუბილეო თარიღს და უსურვებს ყოველივე საუკეთესოს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს რევაზ ამაშუკელს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო რევაზ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 60 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავს.

თქვენ ქართველ პოეტთა იმ თაობას ეკუთვნით, რომელიც სამწერლო სარბიელზე 50-იანი წლების დასასრულს გამოვიდა და ახალი ფერებითა და ინტონაციებით გაამდიდრა ქართული პოეზია.

თქვენი პირველი ლექსები 1957 წელს დაიბეჭდა. დებიუტი ფეხბედნიერი აღმოჩნდა და ლიტერატურულ საზოგადოებას კიდევ ერთი ჭეშმარიტი ორიგინალური ხელწერის მქონე შემოქმედის დაბადება ამცნო. მას შემდეგ უაღრესად ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით. თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები, ლექსები, როგორიცაა თუნდაც „აპრილი", „სიმაღლე", „შენდამი", „ზედაზნის მთვარე", „ტირისკონი" ქართველი მკითხველისა და სალიტერატურო კრიტიკის დამსახურებული აღიარებითა და მოწონებით სარგებლობს. მკვეთრად გამოხატული მოქალაქეობრივი პათოსი, თანამედროვეობის მძაფრი ალღო, XX საუკუნის მიწურულის მოქალაქის ვნებებისა და განცდების ჭეშმარიტი პოეტური ხელოვნებით გამოხატვა თქვენს შემოქმედებას განუმეორებელ კოლორიტს ანიჭებს და ფაქტიურად განსაზღვრავს მის მხატვრულ ღირსებებს. თქვენს პოეზიას გამოარჩევს ესთეტურობამდე მისული ფაქიზი გრძნობა ფრაზისა, ზუსტი მხატვრული ტაქტი და დახვეწილი გემოვნება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ პოეტური მონოლოგის შესანიშნავი ოსტატი ბრძანდებით. სწორედ ამ მონოლოგებში იხსნება თქვენი, სამშობლოს ბედზე თუ უბედობაზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედის, მღელვარე შინაგანი სამყარო, მრავალწახნაგოვანი სულიერი სფერო. თქვენ შესძელით პოეტური სიტყვის მანამდე უცნობი ინტონაციით აჟღერება. საკუთარი ნაგრძნობისა და განცდილის ემოციური, დახვეწილი ფორმით ჩამოყალიბება.

ალბათ ამიტომაცაა, რომ თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს ინტერესით ეცნობიან უცხოეთის მრავალ ქვეყანაში.

უაღრესად ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით. სხვადასხვა დროს მუშაობდით ჟურნალ „ცისკრის" ლიტმუშაკად, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწედ, ჟურნალ „მნათობის" მთავარი რედაქტორის მოადგილედ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად, ამჟამად მუშაობთ საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილედ, არჩეული ხართ სრულიად საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ და მშობელი ქვეყნის ინტერესებით ცოცხლობთ. სადაც კი გიმოღვაწიათ, ყველგან მშობლიური მწერლობის, ხელოვნებისა და კულტურის წინსვლასა და აყვავებას ემსახურებოდით.

თქვენი ღვაწლი არაერთხელ აღინიშნა ჯილდოთი. მათ შორისაა ალბერტ შვაიცერის მედალიც, მაგრამ მათგან თქვენთვის ყველაზე ძვირფასი მაინც გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიაა.

ძვირფასო რევაზ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ თანამოკალმეს, ღირსეულ შემოქმედსა და მოქალაქეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალი პოეტური მწვერვალების დაპყრობას.

საქართველოს მწერალთა კავშირი.

24 ივნისს, 17 საათზე, შოთა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის დიდ დარბაზში გაიმართება პოეტ რევაზ ამაშუკელის შემოქმედებითი საღამო.

ქაშუეთის წინ

ქაშუეთის წინ
ლოთმა სანდრუამ
არაყის ფული
მთელ დღეს აგროვა,
მერე დაუსხეს დიდ ჭიქაში და...
— ადამიანი მაინც მარტოა!
მიდგა კუთხეში
სიტყვის უთქმელად
და სავსე ჭიქას
ცოტა ადროვა,
მერე გადაკრა სულმოუთქმელად...
ადამიანი —
მაინც მარტოა!
ნუ მეკითხები
ასე რატომა:
ვინ — ვინ ჩაწიხლა,
ვინ — ვინ დატოვა,
როგორც კი ცოტას წაიფორხილებს
— ადამიანი,
უკვე მარტოა!
არ უნდა ამას
დიდი მიტინგი,
ჭკუათმყოფელმა,
ვინც კი სანდოა,
იცის, ყალბია ბევრის ტიკტიკი,
— ადამიანი
მაინც მარტოა!
მავანი ისევ ფეხს აბაკუნებს,
მავანი ისევ
მხოლოდ ლადოა,
დრო მაინც ყველას
კუთვნილს არგუნებს,
— ადამიანი
მაინც მარტოა!
ზოგს ნინო უყვარს,
ზოგს ქეთევანი,
ზოგისთვის გონჯიც ბრიჯიტ ბარდოა,
ვის დაფნა ერგო,
ვის სატევარი,
— ადამიანი
მაინც მარტოა!
ზოგს აიაზმა ასვეს, აპკურეს,
ზოგს დავიწყების
თოვლმა ათოვა,
სიბერე კარს რომ მოაკაკუნებს...
— ადამიანი
მაინც მარტოა!
ქვეყნად რამდენმა
ხატა, აშენა,
სიტყვა და ფერი მოაჯადოვა,
ისევ ოცნების გადასარჩენად...
— ადამიანი
მაინც მარტოა!
თუ ვინმე დიდი
კაცი გამოჩნდა,
თუ ვინმე
ერის სადიადოა,
— გახსოვთ, პოეტი როგორ გადმოხტა?
— ადამიანი მაინც მარტოა!
წუთისოფელი
თავის გზით მიდის,
თვალსაწიერიც უფრო ფართოა,
ყველამ ჩახედოს
საკუთარ სინდისს,
— ადამიანი
მაინც მარტოა!
ჭიქა-ღვინოზე
თავის შექცევით,
ფიქრებს, რომლებიც სახიფათოა,
ვაი, რომ მაინც
ვერ გაექცევი,
— ადამიანი მაინც მარტოა!
მე ჩემი თავის
არც რა დარდი მაქვს,
მაგრამ არ ახსოვს
მრავალ დარდიმანდს,
დრო იყო,
ძმა-ძმას საფლავს უთხრიდა,
დრო იყო,
კლიტე ეპყრა შადიმანს!
ვის რაში უნდა ჩემი ტრაბახი
ან აყვირებით,
ან გაყუჩებით?!
— „გაჩხერილი ვარ ქვებში კალმახი
და ახეული მაქვს დაყუჩები!"
განწმინდეს,
ნათლეს,
რა არ ილონეს,
ეშმაკმა მაინც არ მიატოვა,
(ვწერ
უკვე ბევრჯერ ნათქვამ სტრიქონებს)
— ადამიანი
მაინც მარტოა!
რაც უნდა აშრო
ბედის ხორბალი,
ბოლო არჩევი —
მაინც ქატოა,
ფიცარი ფუყე და გამომპალი...
— ადამიანი მაინც მარტოა!
მე ჩემსას ვიტყვი,
გინდა მომკალი,
— სამყარო,
აი, რაც უზადოა!
ცაზე ოცნებით ვარსკვლავთ მომკელი —
— ადამიანი
მაინც მარტოა!
...ქაშუეთის წინ
ლოთმა სანდრუამ
არაყის ფული
დიდხანს აგროვა, —
— მერე,
რა მერე?
„მერეს" ლოდინში...
— ადამიანი მაინც მარტოა!
ცა მოწყენილი და სასვედროა,
დგას მოზუზული მთვრალი სანდრუა,
და ეკითხება
გამვლელ-გამომვლელს: —
— ახლა რა დროა?!
ახლა რა დროა?!
არც მიფიქრია
თქმა რამე ახლის,
მე რა თავს ვახლი
ასე რატოა?
მიდის ქუჩაში კაცი და ძაღლი...
— ადამიანი მაინც მარტოა!

რატევანიდან

რატევანიდან,
ოთხივე მხარეს,
გაფრინდა სული ნოტიო სევდით,
უახლოვდება ძველისძველ მარნებს
ხვატით გათანგულ
მტევნების რეტი...
რატევანიდან,
ლეჩაქის ნაცვლად
ვინ მიფრიალებს ცეცხლისფერ მერდინს?..
რატევანიდან
მამული ახლა
არის მამულზე ცოტათი მეტი!..
რატევანიდან
საითაც წახვალ,
იცოდე, მაინც აქ დაბრუნდები
და გადაფურცლავ ჯრუჭსა და პარხალს,
შიგ დამარხული იაგუნდებით!..
რატევანიდან
გზა უტევანი
თვითონ მიგიყვანს უფლის ტაძრამდე!
შენ ამ ხარების
ხარ მიმდევარი —
— ამ გზას ადექი მუცლით დაძვრამდე!..
დაიქცეს ჩემი დამაწყევარი —
მამის საფლავზე
მდოგვის მთესველი!
გამოვიარე გზა ნახევარი —
საშენოდ მაინც ვერც რა შევძელი...
ჭამად ზვარაკის,
ინახით ვიჯექ
მეზვერეთ, მეძავეთ, ავაზაკთ თანა...
და არა ერთხელ
დედლურად ვსინჯე,
რომ გამომესვა კისერში დანა...
ხანდახან ხორხით
ხრიალებს ლექსი
და ტუჩზე ტოვებს სისხლიან წვეთებს...
ზაფხული დარჩა ორიოდ მსგეფსი
და მიეძალა ზაფრანი ქედებს...
ღამეა.
ბზარავს სიბნელეს ჭოტის
ხმა მორეული და გულსაკლავი
და მოწკრიალე
ალმასის ზოლით
გადამსხვრეულა ზეცა ვარსკვლავით...
რატევანიდან
სხვაგვარად მოჩანს,
სხვაგვარად მამტვრევს ტკივილი ქართლის!
შაქარყინულით ახორხილილ ხონჩას
ერთი ნატეხი
არ აკლდეს მადლი!
ძველებს
მიწაში ხრავს ახლა მატლი,
ახლებს
თვალები გაურბით გზისკენ!
— უპირველესი სადრომო ქართლის
გალობის ნაცვლად
საზანდარს ისმენს!...
საუბედუროდ
ბევრს არ ახარებს
ბრდღვიალი შენი მზის და მთვარისა
და თუ უშვილოდ თავი დახარე,
შენს კარმიდამოს
ჩათვლის თავისად!
თუ არ იმრავლე,
არ იქორწინე,
თუ არ შეუდგი ბეჭი სიმძიმეს,
გალმა-გამოლმა
მურით მოცილე
შენზე იმძლავრებს და გაიცინებს!
თუ არ იმრავლე,
თუ არ შეიგნე
და მხარ-თეძოზე გდებით იძინე,
ხვალ და ზეგ იქნებ
ისე შეიქნეს,
გულალმა დაგცეს შენმა სიმცირემ!
თუ არ დაიწერ ქართულად პირჯვარს,
შენ ვინ დაგინდობს,
შენ,
ყოვლის შემნდობს?!
ჩუქურთმას შორით რად უნდა სინჯვა —
— ტაძარში უნდა
სანთელი ენთოს!
მიდი,
შეახე ხელი მარგალიტს,
რომ კვლავ გაცოცხლდეს
და იბიბინოს!
შთამომავლობა ელის მაგალითს. —
ცერით გაფრენილს
ცისკენ მიმინოს!
მიაპყარ აწმყოს
ფიქრი ფხიზელი,
წინ წარიმძღვარე დროის ლალადი
და არქვი მამულს ტვიფრის სიძველით
მარტვილს მარტვილი,
ბაღდადს ბაღდადი!
გაანგრევს გული
ამ ბებერ ნეკნებს,
სანამ კბილებით სიმართლეს გავცრი,
— მასმინე კვლავაც,
მფარველად მექმენ,
ზარების რეკვა ბოლნისის ტაძრის!...
აწ იმყოფინე
თვლემა მაძღარი
და ძარღვში უცხო ხმათა მღვრევანი,
— ალილე სულის შენის საგზალი,
ჯვარი ვაზის და
ყურძნის მტევანი!
ყოველ ცისმარე,
ჩემი სიზმარი
მცხეთასთან ერთად ხედავს ტაოსაც...
— ხატე,
აშენე
და ნუ იკმარებ
ცასავით სრულქმნილ „ვეფხისტყაოსანს"...
არა გუნდრუკით გადამთიელის,
შენ თავად ზარდე
შენი გავაზი!
და სულ გახსოვდეს
— ხარ ნაშიერი
ალმაშენებლის და ფარნავაზის!..
მოჰფინე მამულს კურთხევა ღმერთის,
სამრეკლოების ზარი ჟღერადი!
— კვლავ გომარეთით,
კვლავ ფიტარეთით,
უბისით, ზარზმით, გრემით, გელათით!

---

22 ივნისს ომი დაიწყო

Секреты Гитлера
на столе у Сталина

რას გვაუწყებენ უცნობი საბუთები?

სტალინმა იცოდა ჰიტლერის საიდუმლოებანი...

მოსკოვში გამოცემული ერთი ახალი წიგნის გამო

გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტზე ხელმოწერა.

ფრიად ორიგინალური, ყურადღების მიმზიდველი სათაური აქვს დოკუმენტების კრებულს: „ჰიტლერის საიდუმლოებანი სტალინის მაგიდაზე". ამ წერილსაც, ანალოგიით, შესატყვისი სათაური მივუსადაგეთ...

ჩვენი თაობისათვის მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებოა ეს კრებული, რომელშიც შეტანილია 80-ზე მეტი ვრცელი და მცირე მოცულობის, ამ ნახევარი საუკუნის წინანდელი მოხსენება-ინფორმაცია, ყველა წესის დაცვით, ჟამთა სვლის შემდეგ, გაშიფრული და მკითხველისათვის წარმოდგენილი.

იგი განსაკუთრებით ნიშნულია იმ დროის ადამიანებისათვის, იმ მღელვარე, შფოთიანი წლების თვითმხილველთა და, თავისებურად, მეომართა თუ მშრომელთათვის, ომის მონაწილეთათვის, მით უფრო, რომ ეს ინფორმაციები პირველად ქვეყნდება და ამ თემით დაინტერესებული ყველა ასაკის მკითხველისათვის, ვფიქრობთ, უთუოდ საჭირო და სასარგებლო იქნება.

კრებულში მოთხრობილი ამბები, მოვლენები, მათში მონაწილე ადამიანები, სხვათა ნათქვამით ბევრისათვის მეტნაკლებად ცნობილი იყო, მაგრამ სულ სხვაა, როცა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, დროისა და სივრცის თვალთახედვით, პირველ წყაროები სიმართლით წარმოჩინდება და ჩვენს უწინდელ, ზოგად წარმოდგენას სახელდებულად, კონკრეტულად წარმოსახავენ. ისტორიული ფაქტები და სიმართლე წარმოგვიდგება შთამბეჭდავად, დამაჯერებლად და მოღვაწე ადამიანებიც, მოგონილი, ყალბი იარლიყებისაგან თავისუფალნი, სიმართლით მოიხსენებიან დოკუმენტური ისტორიის ფურცლებზე.

ეს მით უფრო იგრძნობა, როცა წარმოდგენილი დოკუმენტური კრებულის რეალურ პერსონაჟთა შორის ცოტა როდია ჩვენი ცნობილი თანამემამულე, თანამოქალაქე, მაშინდელი სახალხო კომისრები, თუ მათი მოადგილეები, ელჩები, თუ მათი კონსულტანტები და სხვ.

საბჭოთა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მასალებით შედგენილი და 1995 წელს, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 50 წლისთავზე, მოსკოვის გამომცემლობა „მოსგორარხივის" მიერ 5000 ტირაჟით დასტამბულ კრებულში: „სტალინის მაგიდაზე იდო ჰიტლერის საიდუმლოებანი", ლაპარაკია 1941 წლის მარტ-ივნისში, სამამულო ომის წინა ოთხ თვეში ფაშისტური გერმანიის, მისი მესვეურების ინტენსიურ საომარ მზადებაზე, მათი საშიში გეგმების დროულ, ოპერატიულ მოპოვებას, ამოხსნას და მათ ჩასაფუშავად პოლიტიკური, სამხედრო, სტრატეგიული ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებაში ქვეყნის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მონაცემების, მათ მიერ ურთულეს პირობებში მიკვლეულის მიზანმიმართულად გამოყენების შესახებ.

კრებულში შესული, დღემდე უცნობი დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ფაშისტურმა გერმანიამ, ჰიტლერმა, ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე, სახელდობრ, 1940 წლის 22 ივნისს, დაამტკიცა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გეგმა და იქვე განსაზღვრა მისი დაწყების თარიღი — 1941 წლის 22 ივნისი. როგორც კრებულშია აღნიშნული, ჰიტლერს აკვიატებული ჰქონია თარიღი, 22 ივნისი. იგი მიაჩნდა მაგიურ, კეთილმყოფელ თარიღად: 1940 წლის 22 ივნისს ხელი მოუწერია საფრანგეთის კაპიტულაციისათვის, იმავე დღეს გადაუწყვეტია, ერთი წლის შემდეგ, 1941 წლის 22 ივნისს, ყველაზე ხანგრძლივ დღეს, თავს დასხმოდა საბჭოთა კავშირს... მაგრამ ისტორიამ მწარედ დასცინა მსოფლიო ბატონობის მორიგ, უიღბლო პრეტენდენტს — 22 ივნისი მისთვის ტრაგიკული, საბედისწერო აღმოჩნდა...

საბჭოთა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მონაცემებით, მათი ანალიზის საფუძველზე ქვეყნის ხელმძღვანელობა ჯეროვან, შორს გამიზნულ გეგმებს აზუსტებდა, ქვეყნის უშიშროების უზრუნველსაყოფად ახორციელებდა შესაფერის, აქტიურ პოლიტიკურ, დიპლომატიურ, ეკონომიკურ და სამხედრო ღონისძიებებს, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლება, განმტკიცება, მოსალოდნელი იზოლირებისაგან თავის დაღწევა, მტერმოყვარის ნამდვილ განზრახვათა, შთანაფიქრთა გაგება, მათი გაზრება, მოქნილი პოლიტიკით მოკავშირეთა მოზიდვა, მათი წინდახედულად გამოყენება.

კრებულის მასალები ადასტურებენ, რომ 1939 წლის აგვისტოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება განაპირობა ინგლისის, საფრანგეთისა და პოლონეთის მმართველთა პოლიტიკამ, რომლებსაც არ სურდათ საბჭოთა კავშირთან ერთად ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ეფექტური მოქმედება, ხოლო 1941 წლის 14 ივნისის საკდესის განცხადება ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებით ნაკარნახევი შორსგამიზნული საგარეო-პოლიტიკური აქცია იყო.

ამაზედაც საგნობრივად გვახსენებს, დოკუმენტურად ადასტურებს უცნობი მასალების კრებული, რომლის ჰიტლერის საიდუმლოებათა შემცველი ცნობები სტალინის მაგიდაზე იდო. და არამარტო იდო, არამედ საგნობრივად გაიშიფრა, გაიხსნა, გაანალიზდა, გადამოწმდა, შეჯერდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საშიში, ვერაგი მტრის სპეცსამსახურების განზრახვათა და მოქმედებათა მხილებაში, ჩაფუშვასა და მათ საბოლოო დამარცხებაში.

ჰიტლერელთა მესვეურების აღიარებით, ფაშისტურმა დაზვერვამ ორთაბრძოლა წააგო მოწინააღმდეგის დაზვერვასთან, მან ვერ აღმოაჩინა, ხელი ვერ შეუშალა ვერც ერთი გადამწყვეტი შეტევითი, სტრატეგიული ოპერაციის მომზადებას, მათ წარმატებით განხორციელებას.

კრებულის მასალებს შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია ბერლინელი რეზიდენტის, ანტიფაშისტის, ფილოსოფიის დოქტორის, „კორსიკელის" (ხანკ არვედის) ცნობა, რომელიც 1940 წლის სექტემბერს იუწყებოდა: „მომავალი წლის დასაწყისში გერმანია დაიწყებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ... ომის მიზანია საბჭოთა კავშირს ჩამოაცილოს ევროპული ტერიტორიის ნაწილი ლენინგრადიდან შავ ზღვამდე და ამ ტერიტორიაზე შექმნას სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ გერმანიაზე იქნება დამოკიდებული".

ამ მნიშვნელოვან ცნობას თავისებურად ერწყმის, აგრძელებს დაზვერვის 1941 წლის 11 მარტის ცნობა, რომელშიც ნათქვამია: „ინგლისის მოსკოველმა ელჩმა რიჩარდ კრიპსმა, ლონდონში საგარეო საქმეთა მინისტრთან ანტონ იდენთან და გენერალ ფელდ-მარშალ დილთან შეხვედრის შემდეგ, 1941 წლის 6 მარტს ინგლისელ და ამერიკელ კორესპონდენტებთან პრესკონფერენციაზე განაცხადა: „საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი გარდაუვალია. ბევრი სარწმუნო დიპლომატიური წყარო ბერლინიდან იუწყება, რომ გერმანია გეგმავს თავს დაესხას საბჭოთა კავშირს ამ წლის [illegible] [illegible] დარწმუნებულია, რომ გერმანიას შეუძლია დაიპყროს უკრაინა და კავკასია [illegible] ბაქომდე ორი-სამი კვირის განმავლობაში" (იხ. კრებული, გვ. 24-25).

მკითხველისათვის ცნობილია, თუ რით და როგორ დამთავრდა ფაშისტ აგრესორთა ავანტიურა. თავისუფლებამოყვარე ხალხებმა, თავიანთი გმირული ბრძოლით ჩაფუშეს ბაქია „ფიურერის" საჯაროდ გაცხადებული გეგმები: „აღმოსავლეთით ჩვენ ვიბატონებთ კავკასიამდე და ირანამდე... ჩვენ უნდა ვმართოთ ევროპა და დავიბრუნოთ კოლონიები. ამ უზარმაზარი იმპერიის ცენტრში მე მოვათავსებ დიდ გერმანიას, ავსტრიას, ბოჰემიას, მორავიას, დასავლეთ პოლონეთს, მერე აღმოსავლეთსაც, ბალტიისპირა ქვეყნებს, უკრაინას, ვოლგის სანაპიროებს, **საქართველოს**...

კრებულის მასალები უცილობლად ადასტურებენ, თუ როგორი გამაცებით, გეგმაზომიერად ემზადებოდნენ აგრესიული ომისათვის ფაშისტური გერმანიის მესვეურები: მათი საომარი მოქმედების გეგმები დგებოდა გერმანული მილიტარისტული ტრადიციების შესაბამისად. მასში აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მაღალი პოლიტიკური და სამხედრო ელიტის წარმომადგენლები, მზადდებოდა მთავარ მიმართულებათა საომარი ოპერაციების გეგმები, მათი მატერიალური და იდეოლოგიური უზრუნველყოფის ღონისძიებები, ითვალისწინებდნენ ევროპის კონტინენტზე აგრესიულ დაპყრობათა გამოცდილებასაც. თითქმის ყველაფერი გათვალისწინებული და დაგეგმილი ჰქონდათ, მათ შორის თავდასხმის დროც: წელი, თვე, რიცხვი, საათი — 1941 წლის 22 ივნისი, 3.30-ზე განხორციელება... მაგრამ ერთი მთავარი, არსებითი ვერ გაიაზრეს, ვერ გაითვალისწინეს, ვისთან ჰქონდათ საქმე, რამაც გადაწყვიტა მათი უმაგალითო პოლიტიკური კრახი და არნახული სამხედრო დამარცხება.

მას შემდეგ გავიდა ზუსტად 55 წელი...

ომისდროინდელი უტყუარი ფაქტები, დოკუმენტები, ამბები უცილობლად ადასტურებენ უმაღლესი მთავარსარდლის შორსმჭვრეტელობას: მის სიბრძნესა და ორგანიზატორულ ფენომენს. მრავალთა შორის ამის დასტურია იმ დროის ადამიანთა აზრები: „რუსეთისათვის,— ამბობდა უ. ჩერჩილი, — დიდი ბედნიერება იყო, რომ მძიმე განსაცდელის წლებში რუსეთს სათავეში ედგა გენიოსი და შეუდრეკელი მხედართმთავარი ი. ბ. სტალინი. ეს იყო უდიდესი პიროვნება, შესატყვისი ჩვენი მკაცრი ეპოქისა, რომელშიაც გაიარა მთელმა მისმა ცხოვრებამ".

პეტრე შამათავა,
გადამდგარი პოდპოლკოვნიკი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

ომისდროინდელი ლუკმა



აკაკი გეწაძე

ვაკის ბაღის რესტორნის ფანჩატურში ხვავრიელ სუფრას ვუსხედვართ ბავშვობისდროინდელი ამხანაგები. როგორც იტყვიან, ჩიტის რძეც არ გვაკლია. თორნიკემ ლორის ნაჭერი გადაიღო, მსუქანი მხარე ჩამოაჭრა და, რატომღაც არხეინად მოისროლა ბუჩქებისაკენ: ლორთი არ მიყვარსო.

გელამ გულიანად გაიცინა.

— რა იყო, ბიჭო, ქონი გადასაგდებად დაგენანა? ახლა ჩვენ ისეთ ასაკში შევდივართ, ცხიმს უნდა მოვერიდოთ, გულზე იცის დაწოლა.

— ეგ ვიცი. ერთი ჩემი ომისდროინდელი ამბავი გამახსენდა და იმაზე გამეცინა.

— თუ აგრეა, ჩვენც გაგვაცინე, კაცო.

— ახლა გამეცინა, თვარა, თავის დროზე სასაცილო კი არა, სატირალი იყო...კი, ბატონო, თუ გაინტერესებთ, ახლავე ჩაგიბულბულებთ. გრძელი ამბავი არ არის. ბიძაჩემ ევტიხიას კი იცნობთ ზოგიერთი. იმ დაწყევლილმა ჰიტლერმა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება ჩეჩმაში რომ დაიკიდა და ომის გამოუცხადებლად შემოგვესია ჯარი, ბიძაჩემი იმ დღესვე დაიბარეს სამხედრო კომისარიატში. ჩანთააკიდებული რომ გავაცილეთ, დაგვაიმედა: ნუ გეშინიათ, რაკი მე მივდივარ ფრონტზე, იმ ძაღლიშვილ ჰიტლერს დედა მალე ეტირებაო. დეკემბერში ფოსტალიონმა შავი ქაღალდი მოგვიტანა დაიღუპაო. ბებიაჩემ მინადორას ეს ამბავი კი დავუმალეთ, მარა, რაღაცნაირად მაინც გაიგო. გათენდებოდა, ტიროდა, დაღამდებოდა, მოთქვამდა, თან ჰიტლერს აქვათაყურებდა, სხვებსაც. ვაიმედებდით: ომში სიკვდილმა უამრავი ტყუილი იცის, რამდენ ოჯახს მისვლია შავი ქაღალდი, მარა, კაცი თურმე, გადარჩენილა და შინ მისულა. ასე რომ, ევტიხიას დაღუპვის ამბავიც ასე ტყუილია-მეთქი. ხან გვიჯერებდა, ხან არა. ზოგჯერ ამბობდა, ისეთი სიზმარი ვნახე, ცოცხალი მყავს. სადღაც, ეგება „პლენშიც" არისო, ზოგჯერაც — შემიჭამა ჩემი ქოჩორა ბიჭი შავი ომის ურჩხულმაო. ბებიაჩემს რომ ვანუგეშებდი, რაღაცნაირად მეც მიჩნდებოდა იმედი, რომ ბიძაჩემი მართლაც ცოცხალი იყო, არადა, ბაიბური არსაიდან ისმოდა. ორმოცდაორის შემოდგომაზე გერმანელები მამისონის კლდეკარს ისე მოუახლოვდნენ, ზარბაზნების ხმა ჩვენს სოფელშიც კარგად გვესმოდა, ხშირად დილა მამლების ყივილზე კი არა, ქვემეხების ქუხილზე იღვიძებდა. რაკი წინ მოიწევდნენ ფაშისტები, იმ ხანად უზომოდ გათავხედდნენ, შემოდგომის ერთ დღეს სვასტიკიანმა თვითმფრინავმა ისე დაბლა გადმოგვიფრინა, კომშის მოსაკრეფად ხეზე ასულმა მე და ბებიაჩემმა თვალდათვალ დავინახეთ მფრინავი, ხელში რევოლვერს რომ ათამაშებდა, მგონი ასე დაგვცინოდა ან კიდევაც გვესროდა, მაგრამ ტყვიის ხმა თვითმფრინავის გუგუნში არ გვესმოდა. ასე გაგვიქროლა და გამოგვიქროლა, გაგვიქროლა და გამოგვიქროლა. — რას დაგვცინი, შენ კი დეიწვი და დეიდაგეო! — მიაძახა მოთმინებიდან გამოსულმა ბებიაჩემმა და ერთხელაც, ძალიან რომ მოგვიახლოვდა, ზედიზედ ორი კომში ესროლა, მერე აცახცახდა, ეს რა ვქენიო, ეტყობა, იმის შეეშინდა, ჩემი თავი ჯანდაბას, გაბრაზებულმა თავხედმა შვილიშვილი არ მომიკლასო. ღვთის მადლით, დაცინვა გვაკმარა. მგონი, იმ თვითმფრინავმა სადღაც ჩვენს მიდამოებში ფურცლები ჩამოყარა: ჩვენ მალე გესტუმრებით და არაფრის შეგეშინდეთ, კი არ დაგხოცავთ, შოკოლადებს მოგიტანთო. სწორედ იმ დღეს ის-ის იყო კომშიდან ჩამოსულებს კალათები შინ უნდა შეგვეტანა, ჭიშკარს ფარაჯიანი კაცი მოადგა, ჯოხზე დაყრდნობილი. ჯერ უცხო გვეგონა, მარა, რომ გაგვიღიმა, უმალ ვიცანით ევტიხია. გავიხარეთ და მეტი არა. თურმე, მძიმედ იყო დაჭრილი და როცა მორჩა, შინ გამოუშვეს. ღამით მე და ბიძაჩემმა ერთად დავიძინეთ ჩახუტებულებმა.

იმ დროს ტყუილად კაცს ერთ დღესაც არავინ აჩერებდა. მე, თექვსმეტი წლის ბიჭი და ჯარისთვის უვარგისი ბიძაჩემი ურავში რომ ფარიშხანის საბადოა, იქ წაგვიყვანეს სამუშაოდ. მოგეხსენებათ, იმ გაგანია ომის დროს ლუკმა ყველას აწონილი გვქონდა მისხლობით. ჩვენთვის საგანგებოდ გახსნილი იყო სასადილო, სადაც ბარათით დღეში ერთხელ ცხელი კერძი გვეძლეოდა ასორმოცდაათ გრამ შავ პურთან ერთად. მე და ბიძაჩემი სასადილოში, რა თქმა უნდა, ერთად დავდიოდით ულუფის მისაღებად და იქვე შევექცეოდით. ბიძაჩემი ხარბი არაფრისა იყო. პირიქით, ყველა [illegible]: ერთი თხილის გული რომ ეშოვოს, გვერდით თუ ცხრა ძმა ან სხვა ნათესავ-მოყვარე არავინ ჰყავს, სულაც უცხო ცხრა კაცს გაუყოფსო. ჰოდა, ერთ ღრუბლიან დღეს ჩვენ-ჩვენი კერძი რომ დავიდგით ალუმინის თეფშებით, დავინახე, რომ ჩემს წვნიანში მსუქანი ხორცის ნაჭერი დევს. ეს ისე იშვიათი იყო, საოცრად გამეხარდა. კოვზით თეფშის კიდეზე გადავდე: წვენს რომ ამოვცლი, ბოლოს ამით პირს ჩავიტკბარუნებ-მეთქი. შევექცევი კოვზით მუხუდოს ყვითელ წვენს და...

— არ გიყვარს, ბიჭო, ლორთი, ხომ? — დასტაცა ბიძაჩემმა ხელი და სანამ რაიმეს თქმას მოვასწრებდი, ის ჩემი პირის ჩასაკოკლოზინებელი მსუყე ლუკმა წამისწამ გადაყლაპა.

გავშრი კაცი, კრინტიც ველარ დავძარი. არადა, სასტიკად დავიბოღმე.

მთელი დღე ცხადად ხომ ის მედგა თვალწინ, ბიძამ ნანატრი ლუკმა როგორ შემისანსლა, სიზმარშიც ეს ვნახე რამდენჯერმე. იმ ხანად ბიძაჩემის დანახვაც აღარ მინდოდა, ისე შემძულდა და უკმაყოფილებამ მერეც არ გამიარა. არ იქნა და მისკენ გული აღარ მიმიბრუნდა. მის ოჯახში ვინ მოთვლის, ომის შემდეგომ რამდენჯერ მივჯდომივარ ხვავრიელ სუფრას, ამისთანას, აგერ, ახლა რომ გვაქვს გაშლილი, სულო და გულო, გემრიელი სასმელსაჭმელი თავზე საყრელად რომ ყოფილა, მაინც ის წართმეული ერთი ლუკმა მსუქანი ხორცი მახსენდება თავს, გულში სამუდამო წყენად ჩარჩენილი. აი, რა შხამი ჩამიღვარა გულში ომისდროინდელი ერთი ლუკმის წართმევამ. ჰოდა, შეიძლება ადამიანს ომი არ გძულდეს?... ალბათ, ბიძაჩემს მართლა ეგონა, რომ მე ლორთი არ მიყვარდა და იმიტომ აიტაცა, მაგრამ მაინც... ომი მავანს მხოლოდ ტყვიით ან ნაღმის ნამსხვრევით მიყენებული ჭრილობა ჰგონია. არადა, სხვანაირი ჭრილობების დატოვებაც იცის ომმა...

ჰო მართლა, კინაღამ დამავიწყდა. მეფანდურე ლადიკომ სვასტიკით ფრთებმოხატულ თვითმფრინავთან ბებიაჩემის გმირული შებრძოლების ამბავი მეორე დღესვე ასე გამართა:

მინადორამ თუ თვითმფრინავს
დაუნახა სვასტიკა,
მაშინ ნახეთ დინჯი ქალის
გაბრაზება სასტიკად.
მწამს, სასტიკად დავამარცხებთ
სვასტიკოსნებს ომში,
რაკი ებრძვის მინადორა
ფაშისტ მხეცებს კომშით.

კი, ჭეშმარიტად ასე გახლდათ. ენა უნდა დაეწვას, ვისაც წამოსცდება, ჩვენი ბრძენი მეფანდურე ლადიკოს წინასწარმეტყველება არ გამართლდაო. არ გავიმარჯვეთ იმ დიდ და ძნელ ჯოჯოხეთურ ომში? გავიმარჯვეთ. რით? სწორედ ბებიაჩემის ნასროლი ყუმბარა-კომშითაც. ეჰ, რაც იყო იყო, იქვე დარჩეს. ამიერიდან მაინც გვაშოროს ღმერთმა ამისთანა ამბები სატირლადაც და სასაცილოდაც! მოდით, ახლა ამ გემრიელ სუფრაზე მშვიდობიანი ლუკმა ვადღეგრძელოთ!

ეს სადღეგრძელო ყველამ დასცალა.

მხატვარი ედუარდ ამაშუკაძე

ერთი აბზაცით

ამერიკული გემი – ბათუმში

25-28 ივნისს ბათუმის ნავსადგურში შემოვა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო შეიარაღებული ძალების ამფიბიის ტიპის სადესანტო გემი „ტორტუგ“. ეს ვიზიტი იმ ფართომასშტაბიანი თანამშრომლობის ნაწილია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული შტაბების თავმჯდომარის ჯონ შალიკაშვილის საქართველოში სტუმრობის დროს. პროგრამით გათვალისწინებულია ბათუმის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, ოფიციალური მიღება გემზე.

შეიქმნა საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭო

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება.

საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია აკადემიკოსი გივი სანაძე.

კიდევ ერთხელ პურის შესახებ

პურის თავისუფალმა ფასებმა არ გამოიწვია ნეგატიური მოვლენები რესპუბლიკაში, განაცხადა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე. პირიქით, შეიქმნა ჯანსაღი კონკურენციის პირობები, გამოიკვეთა კერძო სექტორის მუშაობის დადებითი დინამიკა.

მელვინეებს საკუთარი პრობლემები აქვთ

მევენახეობისა და მეღვინეობის პრობლემები განიხილეს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში გამართულ თათბირზე. მისმა მონაწილეებმა, „სამტრესტის“, კერძო ფირმებისა და ასოციაციების ხელმძღვანელებმა, ბიზნესმენებმა ილაპარაკეს იმ აქტუალურ პრობლემებზე, რომლებიც აფერხებს ქართული მეღვინეობის განვითარებას.

ბრიფინგი თავდაცვის სამინისტროში

20 ივნისს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა ვარდიკო ნადიბაიძემ ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართა ბრიფინგი, რომელიც მიეძღვნა მოსკოვში საქართველოს სამხედრო დელეგაციის ვიზიტს.

მოეწყო სამხედრო-პატრიოტული აღზრდის დღე

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირველი საარტილერიო ბრიგადისა და მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების, აგრეთვე რაიონის სამხედრო კომისარიატის ხელმძღვანელობის ერთობლივი ძალისხმევით მოეწყო სამხედრო-პატრიოტული აღზრდის დღე.

მკა ალაზნის ველზე

ალაზნის ველზე მინდვრად გავიდნენ მარცვლეულის ახალები კომბაინები: დაიწყო ქერის მკა. მკას პირველები შეუდგნენ სოფლების ვაქირის, საქობოს, ტიბაანის, ფერმერები და მოიჯარეები.

გაერო დააფინანსებს

გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობა საქართველოში თავისი 1996-97 წლიური პროგრამის ფარგლებში დააფინანსებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს თბილისის აეროვაგზლის ქმედითუნარიანობის ამაღლებას, მგზავრთა გადაყვანის, ტვირთბრუნვის გაუმჯობესებას, პროცედურული, მათ შორის საბაჟო და იმიგრაციული ფორმალობების მინიმუმამდე დაყვანას. პროექტს განახორციელებს საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია. გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა ბატონმა იუჯინ იუქელმა და საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკური რეფორმების საკითხებში ბატონმა თემურ ბასილიამ აღნიშნული პროექტი განიხილეს და შეთანხმებას მიაღწიეს. პროექტის განხორციელებისთვის გაეროს განვითარების პროგრამა გამოყოფს 200000 დოლარს. 20 ივნისს საქართველოში ვიზიტად მყოფი საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის ევროპისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის განყოფილების უფროსი ბატონი აიგლი დაესწრო თბილისის აეროვაგზლის ახალი შენობის გახსნის ცერემონიას.

გულმოწყალება და სიყვარული გადაარჩენს სამყაროს

ბელგიაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა დიანა სანიშვილმა და თამაზ აზაურაშვილმა კიდევ ერთხელ ჩამოიტანეს საქართველოში ჰუმანიტარული დახმარება ობლებისთვის და ლტოლვილებისთვის. ამჯერად ჰუმანიტარული ტვირთი „ტანსაცმელი და კვების პროდუქტები“ მიაწოდა მსოფლიო ქრისტიანულ ორგანიზაცია „ადრა“-ს.

ბესიკ კეხერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პატარებმა გაიხარეს

ქველმოქმედება

გერმანიაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ ქალბატონმა ლია ციცაგი-ვიტტეკმა თავისი ინიციატივითა და ხარჯებით საქართველოში სამასოცდახუთი კილოგრამი ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი, მედიკამენტები, სათამაშოები და ტანსაცმელი ჩამოიტანა. გულითადი საჩუქარი თავიდანვე იყო გამიზნული წყნეთის ბავშვთა სახლისა და კასპის ფსიქონევროლოგიური ბავშვთა პანსიონატისათვის. ქალბატონმა ლიამ კასპშივე მონათლა პანსიონატის პატარა მკვიდრი ნიკო მორჩილაძე, მისი მზრუნველობა იდო თავს და გადაწყვიტა გერმანიაში ასეთივე დაწესებულებაში გადაიყვანოს სამკურნალოდ.

პატარა ელენესა და კოკას დედა, ბატონ ზიგფრიდ ვიტტეკის „ელექტრო დაგეგმარებისა და მშენებლობის“ კერძო ფირმის მფლობელის მეუღლე, ცდილობს მამულიშვილური ვალი თავისებურად მოიხადოს სამშობლოს წინაშე და უშურველად, მთელი თავისი შეძლებითა და შემართებით ჩართულია საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. იგი ბერლინში ახლადდაარსებულ „გერმანულ-ქართული საზოგადოების“ (თავმჯდომარე ალექსანდრე ნადირაშვილი) გამგეობის წევრია. ეს საზოგადოება ითვალისწინებს საქართველოსთან კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ თანამშრომლობას.

მიუხედავად საზოგადოებრივი დატვირთვისა, თბილისში დაბადებული და გაზრდილი ქალბატონი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების სახელმწიფო ინსტიტუტის გერმანული ენის ასპირანტურის განყოფილების ბოლო კურსზეა, მაგრამ სადისერტაციო შრომას დასავლეთ ბერლინის უნივერსიტეტის გერმანული ენის განყოფილების დოქტორანტურაში ამზადებს. ამავე დროს იგი ქართულ და გერმანულ ენებზე ორმხრივ მთარგმნელობით მუშაობას ეწევა. თარგმნილი აქვს ნიკო ლორთქიფანიძის „მინიატურული მოთხრობები“, ვოლფგანგ ბორხერტის „მოთხრობები“, გერმანული ლეგენდები...

საქართველოში ყოფნისას ლია ციცაგი-ვიტტეკი სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა.

— **დიდი სურვილი მაქვს შეძლებისდაგვარად ჰუმანური მი**სია გავიმეორო. ბერლინში კი საქართველოდან [illegible] ქართველ მხატვართა ნამუშევრების [illegible] გავუკეთო, სადაც ამ სურათების გამოფენა-გაყიდვა მოეწყობა. ასევე გერმანიის სხვა ქალაქებშიც. ნება მიბოძეთ უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველას, მათ შორის ავიაკომპანია „ორბის“ ხელმძღვანელებს, ბატონებს ვასო ჯამბაზიშვილს, თემურ თეთრაძეს, დათო კარტოზიას, გია ნიჟარაძეს, რომელთა მეშვეობით ტვირთი ბერლინიდან თბილისში უსასყიდლოდ მოხვდა. ასევე ყველას, ვინც გულთან მიიტანა ეს აქცია და მხარში ამოუდგნენ: ბატონები დიმიტრი კოტეტიშვილი, თენგიზ გაზდელიანი, ქალბატონი ადა ჟორდანია.

და ბოლოს, ბედნიერ მომავალს ვუსურვებ საქართველოს!

ია კალანდარიშვილი.

ჩოგანი

დღეს და ხვალ მეოთხედფინალებია

ფეხბურთელთა ევროპის მეათე ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის შემდეგ გამარჯვებისათვის მებრძოლთა რაოდენობა განახევრდა — მეოთხედფინალში დღეს და ხვალ ის 8 გუნდი ითამაშებს, რომელმაც, ზოგმა დამსახურებულად, ზოგმაც იღბლით და სხვათა შემწეობით, დაძლია პირველი დაბრკოლება და მეორე ეტაპზე იასპარეზებს.

მაშ ასე, ერთმანეთს ხვდებიან:

დღეს

ლონდონი. 19.00 ესპანეთი — ინგლისი.

ლივერპული. 22.30. საფრანგეთი — ჰოლანდია.

ხვალ

მანჩესტერი. 19.00 გერმანია — ხორვატია.
ბირმინგემი. 22.30. ჩეხეთი — პორტუგალია.

ბომბარდირთა დავაში 4 გატანილი გოლით დაწინაურდა ალან შირერი (ინგლისი).

შორენა ცხოვრებაშვილი.

იტალიაში, საერთაშორისო ტურნირზე

12 ქართველი ბიჭუნა, რომლებიც მხოლოდ 11 წლისანი არიან, საქართველოს ღირსებას დაიცავენ იტალიაში. 21 ივნისს ქალაქ მილანს გაემგზავრნენ „ნორჩი დინამოელის“ გუნდის წევრები — აქ გაიმართება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც იასპარეზებენ ნორჩი ფეხბურთელები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

ქართველმა „ნორჩმა დინამოელებმა“, რომელთა მწვრთნელია თამაზ სამხარაძე, ამ დღეებში გამარჯვება იზეიმეს: გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის მალხაზ შერგელაშვილის ხსოვნის ტურნირზე, რომელიც „შევარდენის“ სტადიონზე გაიმართა, მათ პირველი ადგილი დაიკავეს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ნათი“
აცხადებს თვითლიკვიდაციას

პოლიცია

ღამის თბილისი

წლევანდელი ივნისიდან შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ბაზაზე შეიქმნა ღამის პოლიცია, რომელსაც კურატორობს ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი მიხეილ საღაძე.

— ახლახან შექმნილი ღამის პოლიცია მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს საქმიანობაში, — თქვა მიხეილ საღაძემ. — ჩვენს სამინისტროში განხორციელებულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ამაღლდა რაიონული სამმართველოების როლი. რაიონული სამმართველო 120 თანამშრომლით გაიზარდა. თითოეული რაიონის სამმართველოს ხელმძღვანელობს ცენტრალური სამმართველო. საჭიროების შემთხვევაში ღამის პოლიციასთან ერთად შემთხვევის ადგილზე ყოველთვის იქნებიან სპეციალური ჯგუფები.

ღამის პოლიცია მუშაობას იწყებს ღამის თორმეტ საათზე. ყველა რაიონში საღამოს თერთმეტი საათისათვის რვაკაციანი ორი ეკიპაჟი ნაწილდება და დილის 8 საათამდე მათ ევალებათ წესრიგის დაცვა. მას შემდეგ, რაც ღამის პოლიცია ფუნქციონირებს, დანაშაულმა 60 პროცენტით იკლო.

ბულიკო მარკოზაშვილი.
საქინფორმის კორესპონდენტი.

ხსოვნა

კიაზო მათიაშვილი

საქართველოს სასამართლო სამედიცინო სამსახურმა უდიდესი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის რესპუბლიკური ცენტრის უფროსის მოადგილე **კიაზო გრიგოლის ძე მათიაშვილი.**

კ. გ. მათიაშვილი დაიბადა 1939 წელს, ქ. თბილისში, გამოჩენილი ქართველი ექიმ-კრიმინალისტის, საქართველოს სასამართლო სამედიცინო და კრიმინალისტური სამსახურის ფუძემდებლის, გრიგოლ ვასილის ძე მათიაშვილის ოჯახში. თბილისის მე-7 ვაჟთა სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1963 წლიდან, მუშაობდა ჯერ თეთრი წყაროს რაიონში, ხოლო შემდეგ თბილისში, ქირურგად. 1966 წელს დაიწყო მუშაობა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში რიგით ექსპერტად. იმავე წლის ბოლოს, დაინიშნა ნივთმტკიცებათა გამოკვლევის განყოფილების გამგედ, ხოლო, 1986 წლიდან დღემდე მუშაობდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის რესპუბლიკური ცენტრის უფროსის მოადგილედ.

გარდა მრავალმხრივი პრაქტიკული მუშაობისა, კიაზო მათიაშვილი ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას, 1982 წელს, ქ. მოსკოვში სასამართლო მედიცინის საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი. 1983 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იყო საქართველოს სასამართლო მედიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე. იგი უდიდესი, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა შორის.

წავიდა ჩვენგან უაღრესად ნიჭიერი, ენერგიული, დიდი ორგანიზატორული უნარის მქონე, უმწიკვლო, ყველა ადამიანური თვისებებით აღჭურვილი, მრავალმხრივ განათლებული, სულით ხორცამდე ინტელიგენტი, ოჯახისა და მეგობრების მოყვარული თბილისელი კაცი.

დიდხანს დარჩება შენი კეთილი სახე ჩვენს გულებში, ჩვენო სასიქადულო მეგობარო.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის რესპუბლიკური ცენტრი; თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო-სამედიცინო კათედრა; საქართველოს სასამართლო მედიკოსთა სამეცნიერო საზოგადოება.

ალექსანდრე ლემონჯავა



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება, ომისა და შრომის ვეტერანი, დამსახურებული ეკონომისტი **ალექსანდრე ანდრიას ძე ლემონჯავა.**

დაიბადა 1913 წელს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუმში. 1932 წელს დაამთავრა სოფელ ხაბუმის საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო წალენჯიხის რაიონის 4-წლიანი სკოლის გამგედ. შემდეგ გადაიყვანეს მუხურის სასოფლო საბჭოს მდივნად, აქედან კი ჩხოროწყუს საფინანსო განყოფილების ინსპექტორად.

დიდი სამამულო ომის დაწყებიდან იგი [illegible]

1945 წლიდან ჩხოროწყუს რაიაღმასკომის თავმჯდომარეა. [illegible] 1973 წლიდან [illegible]

იგი იყო [illegible]

[illegible]

ჩხოროწყუს რაიონის ადმინისტრაცია [illegible]

საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობა

1996 წლის 22 ივნისიდან დადგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	0.9973	ლარი
ავსტრიული შილინგი	0.1180	ლარი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	1.9462	ლარი
10 ბელგიური ფრანკი	0.4038	ლარი
გერმანული მარკა	0.8280	ლარი
ჰოლანდიური გულდენი	0.7417	ლარი
დანიური კრონი	0.2157	ლარი
1000 იტალიური ლირა	0.8191	ლარი
კანადური დოლარი	0.9222	ლარი
ნორვეგიული კრონი	0.1933	ლარი
აშშ დოლარი	1.2600	ლარი
ფინური მარკა	0.2711	ლარი
ფრანგული ფრანკი	0.2447	ლარი
შვედური კრონი	0.1892	ლარი
შვეიცარული ფრანკი	1.0093	ლარი
10 იაპონური იენი	0.1164	ლარი
ეკიუ	1.5696	ლარი
10 ესპანური პესეტა	0.0983	ლარი
100 ბერძნული დრაჰმა	0.5238	ლარი
ირლანდიური გირვანქა	2.0033	ლარი
10 ისლანდიური კრონი	0.1883	ლარი
100 პორტუგალიური ესკუდო	0.8066	ლარი
სინგაპურული დოლარი	0.8951	ლარი
10000თურქული ლირა	0.1569	ლარი
1000 რუსული რუბლი	0.2200	ლარი
100000 უკრაინული კარბოვანეცი	0.6138	ლარი
10 ყაზახური ტენგე	0.1661	ლარი
10000 ბელორუსული მანეთი	0.6754	ლარი

ბედის ირონია

იკითხეთ „გაგრა - კარიბჭე“!..

გამოდიოდა აფხაზეთში, კურორტ-ქალაქ გაგრაში სიმპატიური, საინტერესო გაზეთი „გაგრა-კარიბჭე“, რომელმაც, ცნობილი მიზეზების გამო, არსებობა შეწყვიტა.

და აი, ამ დღეებში თბილისში განახლდა „გაგრა-კარიბჭის“ (რედაქტორი — ალექსანდრე თოფურია) გამოცემა. სხვაგვარად არც შეეძლოთ გაზეთის რედაქტორისა და სარედაქციო კოლეგიის წევრებს — დღეს, სამწუხაროდ, მშობლიური ქალაქიდან დევნილებს, ავტორთა აქტივს, ყველას, ვისაც შეგნებული აქვს, რომ „გაგრა-კარიბჭე“ აქაც თავის საქმეს გააკეთებს, ვინძლო, სულ მალე, ისევ გაგრაში გამზადდეს და დაიბეჭდოს. თითქოს ამის დასტურია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის ნათქვამი გაზეთის კორესპონდენტისადმი: „ვიმედოვნებ, რომ მაინცდამაინც ბევრი ნომრის გამოშვება თბილისში არ მოგვიწევს. მჯერა, რომ „გაგრა-კარიბჭის“ მომდევნო ნომრები უკვე გაგრაში გამოვა“...

ღმერთმა ჰქნას!.. მანამდე კი, დარწმუნებული ვართ, თბილისში მკითხველი არ მოაკლდება „გაგრა-კარიბჭეს“. ამის თავდებია გაზეთის პირველი ნომერი, რომელშიც ბევრი საინტერესო მასალაა დაბეჭდილი.

ევროპული და ამერიკული დიპლომი თბილისში!

ESM
თბილისი/TBILISI

მენეჯმენტის საერთაშორისო
უმაღლესი სასწავლებელი
ESM - თბილისი

აცხადებს მიღებას 1996-1997 სასწავლო წლისათვის

ინსტიტუტი ამზადებს საერთაშორისო სტანდარტების დონის ფართო პროფილის მენეჯერებს, რომლებსაც შეეძლებათ მუშაობა General მენეჯერის, ფინანსების მენეჯერის, მარკეტინგის მენეჯერის და წარმოების მენეჯერის თანამდებობებზე.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის წოდება და მიეცემათ ESM-International-ის, პრესტონის უნივერსიტეტის (აშშ) ან ბერუფსაკადემიის (გფრ) დიპლომი.

ESM - თბილისის მიერ გაცემული დიპლომი საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათანაბრებულია სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის დიპლომთან.

სტუდენტები გაივლიან სამხედრო მომზადებას.

საბუთების მიღება 24 ივნისიდან 6 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 8-დან 14 ივლისამდე.

გახსოვდეთ, ჩვენ კურსდამთავრებულებს სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებით პრობლემები არა აქვთ.

დაწვრილებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ “ღია კარის დღეზე”,
29 ივნისს 11 საათზე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 40, მეტროს სადგური “ვ. გოცირიძე” (ყოფილი “დელისი”). ტელეფონები:39-16-73, 39-44-57, 39-68-64.

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი

საქართველოსა და უცხოეთის სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად, საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის

აცხადებს კონკურსს

ქვევით ჩამოთვლილი საჰაერო ხაზების კომერციული ექსპლუატაციისათვის:

1. თბილისი — ბათუმი
2. თბილისი — ქუთაისი
3. თბილისი — სენაკი
4. თბილისი — ფოთი
5. თბილისი — ერევანი
6. თბილისი — ოდესა
7. თბილისი — დნეპროპეტროვსკი
8. თბილისი — ზაპოროჟიე
9. თბილისი — ლვოვი
10. თბილისი — მინსკი
11. ქუთაისი — კიევი
12. სენაკი — ოდესა
13. ბათუმი — დონეცკი
14. ბათუმი — სიმფეროპოლი
15. ბათუმი — მარიუპოლი
16. ბათუმი — კიევი

დეპარტამენტი, აგრეთვე, განიხილავს ნებისმიერ წინადადებას, როგორც სამგზავრო, ასევე სატვირთო ავიარეისების შესრულებაზე, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ნორმებს და საქართველოს კანონმდებლობას.

კონკურსის ძირითად პირობად ითვლება

— იურიდიული (ფიზიკური) პირის მიერ ყველა იმ პროცედურის გავლა და ფორმალობების უზრუნველყოფა, რომელიც გათვალისწინებულია საჰაერო ტრანსპორტის გადატანა-გადაზიდვის ლიცენზირების დებულებით.

— აღნიშნული საჰაერო ხაზები კომერციული ექსპლუატაცია, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნული ავიაკომპანიების ძალებით („ორბი“, „ეარ ჯორჯია“, „გაკო“, „მიმინო“, „აბავია“, „ეარ ზენა“, „ლასარე ეარ“, „ტაიფუნი“, „ქუთაისი“, „ბათუმი“ „ლაშარელა“, „ავიაექსპრესკრუიზი“) დასაშვებია აღნიშნული ხაზების ექსპლუატაცია უცხო ავიაკომპანიების მიერ.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის გადაზიდვების რეგულირების განყოფილებაში. ტელ: 99-78-24, 98-96-39

საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს [illegible] გარდაცვალების გამო.

[illegible] **ბორის კაკაბას ძე დგებუაძე** [illegible] და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

მეუღლე [illegible] **ბორის (ბორა) [illegible]** პანაშვიდი 22, 23, 24 VI, [illegible] 25 VI, 6 ს., [illegible] № 23.

[illegible]

თბილისის მერია და მუნიციპალიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა [illegible] **თამაზ იოსების ძე უნაფქოშვილი.** პანაშვიდი 22 VI, 5 ს., [illegible] 23 VI, [illegible] 50, ბინა 10, [illegible]

მეუღლე [illegible] **კიაზო გრიგოლის ძე მათიაშვილი.** პანაშვიდი 23, 24 VI, 5 ს., [illegible] 25 VI, 3 ს., [illegible] ქ. № 13.

[illegible] პანაშვიდი 23, 24 VI, 5 ს., [illegible] 25 VI, 3 ს., [illegible] (ბახტრიონის) ქუჩა, 1 კორპუსი, (III სადარბაზო).

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

მორიგე რედაქტორი ანზორ ბასილაია.

გამომცემელი - შპს „პრესა“
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24.
მთავარი რედაქტორი ზურაბ ჩოჩიაშვილი.